ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შესახვედრად


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 110 (11416) | პარასკევი, 15 მაისი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.


# ღირსეული წვლილი შვიდწლედში

ამჟამად ჩაის ფოთოლი სუბტროპიკულ რაიონებში ყველგან მასობრივად არის შემოსული. ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესებამ, მინერალური სასუქების სრული დოზით შეტანამ, აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის თანმიმდევრულად განხორციელებამ წელს მნიშვნელოვნად დააჩქარა ჩაის ბუჩქის ზრდა-განვითარება. ფოთლის კრეფის ტემპი დღითიდღე ძლიერდება.

ხავერდოვან პლანტაციებში დაძაბული შრომის დღეებია. ფოთლის კრეფის დაწყების პირველი დღიდანვე გამოჩნდნენ მოწინავეები, რომლებიც შრომის ნაყოფიერების გადიდების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. გეგეჭკორის რაიონის დაბა გეგეჭკორის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა უქებს მარჯვენას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, თერთმეტი შვილის დედას მარგო ჩიქვანაიას. ჩაის პლანტაციებში იგი პირველობას არავის უთმობს. მისი შრომა როგორც ოჯახში, ისე პლანტაციებში, სანაქებოა.

ყოველდღიურად 100-135 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა! ეს სანაქებო მაჩვენებელი მარგო ჩიქვანაიას ბეჯითი მუშაობის შედეგიც არის. ფოთლის უდანაკარგოდ ალების საქმეში სასახელოდ მუშაობენ ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. გელენავა, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის წევრი, სოციალისტური შრომის გმირი ნინო გოგაძე, წყალტუბოს რაიონის სოფელ გუმბრის კოლმეურნეობის წევრი ნონა გურეშიძე. ასეთი მაგალითები ბევრია.

ახლა სუბტროპიკული რაიონების პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანონ უშუალოდ ჩაის პლანტაციებში, სადაც უხვი მოსავლის ბედი წყდება, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ და ქმედითი დახმარება გაუწიონ შეჯიბრების მონაწილეებს. პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი როლი უნდა შეასრულონ მოწინავე მკრეფავთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების საქმეში.

**საქართველოს მეჩაიეებო! გახსოვდეთ, რომ თქვენ იკისრეთ მიმდინარე წელს — შვიდწლედის პირველ წელს მოკრიფოთ 140 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით 7 ათასი ტონა, ხოლო 1965 წელს — 200.000 ტონა.** ამ პასუხსაგები დავალების შესრულება მოითხოვს მეჩაიეთა ძალების დაძაბვას, ფოთლის კრეფის წესების ზუსტად დაცვას.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ მაისში ვერ შევასრულეთ ფოთლის კრეფის დავალება, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაის ნედლეულის დამზადების წლიური გეგმის შესრულება საფრთხეში აღმოჩნდება. გარდა ამისა, მაისში არ შეიძლება მოიკრიფოს მეორე ხარისხის ფოთოლი.

სამწუხაროდ, კრეფის დაწყების პირველ დღეებში აქა-იქ გამოვლინდა ნაკლოვანებანი. მაგალითად, აბაშის რაიონის სამიქაოს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში არღვევენ კრეფის აგროწესებს — მკრეფავთა ერთი ნაწილი ფოთოლს კალთაში კრეფს, რის გამო ფოთოლი ისრისება და ხარისხი ეცემა, ეს კი გავლენას ახდენს ჩაის ხარისხზე.

ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში დაივიწყეს მოსავლიანობის გადიდების ისეთი დიდი საშუალება, როგორიც არის სასუქი. ეს პირველ რიგში ითქმის სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაზე. აქ ჩაის პლანტაციებში აჭიანურებენ აზოტოვანი სასუქის შეტანას. კოლმეურნეობის გამგეობას და პარტორგანიზაციას ეს ოდნავადაც არ აღელვებს. განა ასეთი მუშაობით გავადიდებთ ჩაის მოსავლიანობას?

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა სასტიკი კონტროლი უნდა დააწესონ ჩაის კრეფის აგროწესებისა და შრომის ორგანიზაციის სწორად განხორციელებისადმი. აგროტექნიკის დარღვევის ფაქტები მათი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ნუ დავინდობთ მოხალტურეებს და დაკისრებული მოვალეობის უსულგულოდ შემსრულებლებს.

მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა წინაშე პარტიამ მთელი სიმკვეთრით დააყენა ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესების ამოცანა. ამ დღეებში საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეებმა იკისრეს: **1959 წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ 1 დეკემბრისათვის, დავალების გადამეტებით გამოუშვან უმაღლესი და პირველი ხარისხის დიდძალი ჩაი, შრომის ნაყოფიერება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით გაადიდონ 1 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით შეამცირონ 0,5 პროცენტით.**

ამ ნაკისრი ვალდებულებების განაღდება უნდა მოხდეს ჩაის მომყვანთა და ნედლეულის გადამმუშავებელთა შეწყობილი მუშაობით, ურთიერთ დახმარებით, ბრძოლა ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იწყება პლანტაციაში ფოთლის კრეფის მომენტიდან. ამიტომ საჭიროა ფოთოლი სისტემატურად განუწყვეტლივ იკრიფებოდეს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადრე დილით მოკრეფილი ფოთოლი გადასამუშავებლად ფაბრიკებში მიჰქონდეთ არა უგვიანეს 11 საათისა. შემდეგ მოკრეფილი ჩაის ნედლეული იმავე დღესვე დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს ფაბრიკებს. ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ ფაბრიკის აგრონომებს. მათი მოვალეობაა საქმიანი კავშირი იქონიონ კოლმეურნეობებთან, იყვნენ პლანტაციებსა და მიმღებ პუნქტებში, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ მეჩაიეებს ფოთლის კრეფის, ნედლეულის გადატანის წესებზე და სხვ.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა უპირველესი მოვალეობაა — გადაჭრით გააძლიერონ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, უნარიანად, მთლიანად გამოიყენონ შრომითი რესურსები, დაუცხრომლად იზრუნონ შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ არა მარტო კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობის მუშათა უმრავლესობა, არამედ ყველა მეჩაიე მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს ჩაის კრეფის დღიურ ნორმას. ეს რომ გაკეთდეს, საჭიროა მეჩაიეებს შევუქმნათ შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევის ყველა პირობა, მოვაწყოთ საბავშვო ბაღები, თავშესაფარი ფარდულები, სასადილოები, უზრუნველვყოთ მკრეფავები სპეცტანსაცმლით.

საქართველოს მეჩაიეებო, გახსოვდეთ, რომ ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით განაღდებით თქვენ ღირსეულ წვლილს შეიტანთ შვიდწლედის წარმატებით განხორციელების საქმეში, თავდადებული შრომით სახელს მოუხვეჭთ მშობლიურ ქვეყანას.

# ფართო გზა ტექნიკურ პროგრესს

**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის ძვირფას ინიციატივას, რომ ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს**

**მხურვალედ დაუჭირეს მხარი და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული, ქუთაისის მანქანათსამშენებლო, ბათუმის გემთსამშენებლო, თბილისის სახეხი ჩარხების, თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო, გორის საკონსერვო ქარხნების, ტყიბულქვანახშირის ტრესტის, ვ. ი. ლენინის სახელობის შახტისა და გელათის შახტის კოლექტივებმა. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს დაუცხრომლად იბრძოლონ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, საწარმოებში მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვისათვის, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.**

## ავტომატიზაციის გზით

დიდი გამოცოცხლებაა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში. საამქროებში, უბნებსა და ბრიგადებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვამ — ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გახსნის დღეს. ქარხნის მშრომელები მსჯელობენ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებსაც პლენუმი განიხილავს.

წელს მანქანათმშენებლები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. ამჟამად სამსხმელო საამქროში დგამენ მძლავრ ამწეს, რის დამთავრების შემდეგ საამქროში ყველა სატრანსპორტო სამუშაო მექანიზებული იქნება. მალე ასეთივე მძლავრი ამწე მოეწყობა საინსტრუმენტო საექსპერიმენტო საამქროში. ყველა ამ სამუშაოს დამთავრება განზრახულია პლენუმის გახსნის დღისათვის — 24 ივნისისათვის.

ქარხნის კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს წელს ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის საწარმოებს მიაწოდოს შამპანურის ჩამოსასხმელი და შემფუთავი ავტომატური ხაზები. ამასთან ახლა მიმდინარეობს ღვინის ჩამოსასხმელი ავტომატური ხაზების გამოცდისათვის მოსამზადებელი სამუშაოები. წელს მეღვინეობის საწარმოებს გაეგზავნებათ აგრეთვე ახალი გაუმჯობესებული კონსტრუქციის საწურავები, მექანიკური წნეხები, საქაჩავები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი წარმადობით, სრულყოფილი მექანიზაციით და დააკმაყოფილებენ საწარმოთა მოთხოვნილებებს.

## შვიდწლედის საძირკველი

თბილისის სახეხი ჩარხების სამშენებლო ქარხნის კოლექტივში შემოქმედებითი ინიციატივის ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობამ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ, რომელიც განიხილავს წარმოების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის, ნაკადური ხაზების შემოღების, მოძველებული მოწყობილობისა და ტვიფრების შეცვლის და წარმოების სხვა აქტუალურ საკითხებს.

გუშინ აქ დიდი ყურადღებით გაეცნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის მიმართვას, რომლითაც ქართველი ელმავალმშენებლები საწარმოთა კოლექტივებს მოუწოდებენ შეუპოვრად იბრძოლონ კომპლექსური მექანიზაციისა და წარმოების შემდგომი ფართო ავტომატიზაციისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს.

თბილისის სახეხი ჩარხების სამშენებლო ქარხანა იმის ნათელი კონკრეტული მაგალითია, თუ რა დიდი ნაბიჯებით მიდის წინ ჩვენს ქვეყანაში ტექნიკური პროგრესი. საწარმო, რომელიც ოთხიოდე წლის წინათ დაზგებისა და უმნიშვნელო მოწყობილობის შეკეთებაზე მუშაობდა, დღეს მაღალი სიზუსტის მრგვლად სახეხ ჩარხებს უშვებს. შვიდწლედში ქარხანა 5-ჯერ გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას. 3110-M სახეხი ჩარხების ბაზაზე აითვისებენ და გამოუშვებენ ნახევრადავტომატურ და ავტომატურ ჩარხებს, რომლებიც თვითონვე უწევენ კონტროლს და წარმართავენ დეტალების დამზადების მთელ ტექნოლოგიურ პროცესს. ახლა ქარხანაში ამზადებენ ცალკეულ დეტალებს TШ-1 ტიპის სპეციალური ჩარხებისათვის.

შვიდწლედის ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულ შემოქმედებით შრომაში ქარხნის კოლექტივი ეყრდნობა ისეთ მტკიცე საძირკველს, როგორიც არის ტექნიკური პროგრესი. ჩარხმშენებლებმა ცოტა მუშაობა როდი გასწიეს ავტომატიზაციისა და მექანიზაციის, ნაკადური ხაზებისა და ახალი ტვიფრების დანერგვის საქმეში. საამქროებში დადგეს 5 და 10-ტონიანი ხიდური ამწეები, დაამონტაჟეს 20-ზე მეტი მაღალი წარმადობის უნივერსალური და სპეციალური ჩარხი, დანერგეს 100-ზე მეტი სამარჯვი, რომლებიც განკუთვნილია ნაკადური ხაზებისათვის, აითვისეს ჩარხის 15-მდე დეტალის დამზადება დატვიფრვით.

ტვიფრვის დანერგვით ჩარხმშენებლებმა მკვეთრად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება, გაადიდეს პროდუქციის გამოშვება, შეამცირეს მისი თვითღირებულება. მაგალითად, ჩარხის სეპარატორის დამზადება მძიმე და შრომატევადი პროცესი იყო, რაც 3-4 საათის მუშაობას მოითხოვდა. ახლა დატვიფრვით ამ დეტალს ორ წუთში ამზადებენ. დატვიფრვის დანერგვით თითქმის 100-ჯერ შემცირდა აგრეთვე ჩარხის წყლის ავზის სახურავის დამზადებისათვის საჭირო დრო.

თბილისელ ელექტრომავალმშენებელთა მიმართვის პასუხად სახეხი ჩარხების სამშენებლო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის გახსნის დღემდე 3110-M ჩარხის კიდევ 20 დასახელების დეტალის დატვიფრვა აითვისოს, ხოლო წლის ბოლომდე უზრუნველყოს ჩარხის ყველა დეტალის დატვიფრვით დამზადება.

ამჟამად ქარხანაში ხელით ასრულებენ ისეთ ოპერაციებს, როგორიც არის ჩარხის შპინდელების საჭირო სიზუსტემდე დაყვანა, კბილანების მომრგვალება. ჩარხმშენებლებმა იკისრეს პლენუმის გახსნის დღემდე განახორციელონ ამ საწარმოო ოპერაციების მექანიზაცია.

ქარხნის წინაშე ტექნიკური პროგრესის დიდი პერსპექტივებია, რომელთა განხორციელებისათვის ენერგიულად შრომობენ საწარმოს მოწინავე მუშები, ტექნიკური პერსონალი, შვიდწლედში თბილისის სახეხი ჩარხების სამშენებლო ქარხანა გადაიქცევა უახლესი ტექნიკით აღჭურვილ, მთლიანად მექანიზებულ და ავტომატიზებულ საწარმოდ. საამქროებში მოეწყობა დეტალების დამუშავების ნაკადური ხაზები, მაღალი სიზუსტის სახეხი ჩარხების აწყობა განხორციელდება ბიჯ კონვეიერზე. ტექნიკური პროგრესის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის შედეგად ქარხნის კოლექტივი იმავე საწარმოო ფართობზე დაახლოებით 4-ჯერ გაადიდებს პროდუქციის გამოშვებას.

ა. ხუჯუა.

## გორელი მეკონსერვეები კისრულობენ...

გორი. (საკ. კორ.). გორელი მეკონსერვეები მხურვალედ უჭერენ მხარს თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის კოლექტივის თაოსნობას — გააჩაღონ ბრძოლა ტექნიკური პროგრესის ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

ელექტრომავალმშენებელთა მაგალითისამებრ საკონსერვო ქარხნის კოლექტივი მნიშვნელოვან სამუშაოებს ეწევა წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. მიმდინარეობს ვაშლის წვენის საამქროს მთლიანი რეკონსტრუქცია, რის შედეგად ორჯერ გაიზრდება პროდუქციის გამოშვება. თუ აქამდე საამქროში ვაშლის მიწოდება წნეხებში ხელით სრულდებოდა, ახლა ეს პროცესი მექანიზებული იქნება. მარტო ეს 10-11 მუშას გაათავისუფლებს ამ საქმისაგან. აქვე იდგმება ახალი ხაზი, რომელზეც დამზადდება პასტერიზებული კიტრის კონსერვი. მთავარ საამქროში დაიდგა ბოსტნეულის კონსერვების მეორე ახალი ხაზი.

თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან ქარხნის გამომგონებლები და რაციონალიზატორები. სათუნუქე საამქროს უფროსმა ირაკლი მელაძემ თუნუქის ტარის დამამზადებელ მანქანაში შეიტანა კონსტრუქციული ცვლილება, რითაც ორჯერ გადიდდა მანქანის წარმადობა და ამასთან გაადვილდა მუშის შრომა.

ახალი სეზონისათვის მზადების სამუშაოთა შესრულებაში დაწინაურდნენ ზეინკლების უშანგი მაისურაძისა და გიორგი კუდუხაშვილის ბრიგადები.

გორელმა მეკონსერვეებმა იკისრეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის — 24 ივნისისათვის მთლიანად დაამთავრონ ახალი მანქანა-დანადგარების დამონტაჟება-დადგმა, ხოლო ქარხნის რემონტი — ვადაზე ორი კვირით ადრე.

# 140.000 ტონა ჩაისათვის!



## მოდის ქართული ჩაი!



ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ხ. ყურშუბაძემ ვალდებულება იკისრა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 2.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

სურათზე: მკრეფავი ხ. ყურშუბაძე ჩაის პლანტაციაში.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

★ ★

## იცნობდეთ, ესენი ჩაის კრეფის გუშინდელი დღის გმირები არიან




### წულუკიძე

**გუგული გელენიძემ** სოფელ მათხოჯის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 65 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიურ ნორმას 45 კილოგრამით გადააჭარბა.

**ეთერ აკოფიძე** მუშაობს ქალაქის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში და მოკრიფა 43 კილოგრამი ჩაის ნედლეული. ამით დღიურ დავალებას 21 კილოგრამით გადაამეტა.

**ეთერ ბობოხიძემ** სოფელ დედხლაურის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 106 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და დღიური დავალება ხუთმაგად შეასრულა.

### გეგეჭკორი

**შურა წულაია** სოფელ ნახუნავოს კოლმეურნეობაში მუშაობს. მან გუშინ მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა.

**სულიკო ჯამბურიამ** სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობაში მოკრიფა 100 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად ნორმით დაწესებული 30 კილოგრამისა.

### ხობი

**მადარი ჯიშკარიანმა** სოფელ ახალ ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 42 კილოგრამი ჩაი და ამით ფოთლის კრეფის დღიურ ნორმას 22 კილოგრამით გადააჭარბა.

**შურა პიპია** მუშაობს სოფელ ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 47 კილოგრამი ჩაი ნაცვლად 20 კილოგრამისა.

**გალინა ბუკია** მეშვიდე კლასის მოსწავლეა. მან ერთ დღეს სოფელ პირველ მაისის კოლმეურნეობაში მოკრიფა 40 კილოგრამი ფოთოლი და ამით ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 25 კილოგრამით გადააჭარბა.

### თერჯოლა

**ნადია ქარქაშაძე** ფოთლის კრეფის დაწყების პირველ დღიდანვე ენერგიულად მუშაობს სოფელ ზედა სიმონეთის კლდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. მან გუშინ მოკრიფა 91 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 10 კილოგრამისა.

**თინა ჯანელიძე** საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდა სოფელ ზედა სიმონეთის კოლმეურნეობაში და სასახელოდ მუშაობს ჩაის პლანტაციებში. ამხ. ჯანელიძემ გუშინ მოკრიფა 41 კილოგრამი ფოთოლი და ამით ჩაის კრეფის დღიურ ნორმას 30 კილოგრამით გადააჭარბა.

## ლაითურის ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა პირველი მზა პროდუქცია

მახარაძე, (საკ. კორ.). ლაითურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი კარგად მოემზადა ჩაის ნედლეულის გადამუშავებისათვის. ჩაის ფოთლის მიღება ორგანიზებულად დაიწყო. ამ დღეებში გამოშვებულია 10 ტონა მზა პროდუქცია.

ფაბრიკა წელს 4,5 მილიონ კილოგრამ ნედლეულს გადაამუშავებს. გეგმის გადამეტებით გამოუშვებს 50 ტონა ხარისხოვან პროდუქციას. ფაბრიკის კოლექტივს ვალდებულება აქვს ნაკისრი სეზონში სახელმწიფოს მისცეს ნახევარი მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

# მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა

კიშინიოვი, 14 მაისი. (საქდესი). დღეს აქ გაიმართა მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეების მონაწილეობით, მიძღვნილი მოლდავეთისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი, რომლითაც დაჯილდოებულია რესპუბლიკა დიდი წარმატებებისათვის მევენახეობისა და მებაღეობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში და 1958 წელს სახელმწიფოსათვის ყურძნის, რძის, კვერცხის, მარცვლეულის მიყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დილის 10 საათია. სხდომის პრეზიდიუმში შემოდიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ვ. პოდგორნი, მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ზ. ტ. სერდიუკი, მოლდავეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ფ. დიორდიცა, მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. ს. კოდიცა, აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. მ. ჯაფარლი და სხვები, რომლებსაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მოლდავეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ზ. ტ. სერდიუკმა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საზეიმო სხდომა.

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირისა და მოლდავეთის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეები საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას მოლდავეთის რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ აქვეყნებს მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. ს. კოდიცა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელითა და დავალებით ლენინის ორდენს გადასცემს მოლდავეთის სს რესპუბლიკას. ორდენს იღებენ ამხანაგები ზ. ტ. სერდიუკი, ა. ფ. დიორდიცა და ი. ს. კოდიცა.

შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ზ. ტ. სერდიუკი. იგი თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვებას უსურვებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

მოლდავეთის რესპუბლიკისადმი მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ნ. ვ. პოდგორნიმ და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. მ. ჯაფარლიმ.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ტელენეშტის რაიონის კოლმეურნეობა „ვიაცა ნოუეს“ თავმჯდომარემ ბ. ვ. გლუშკომ, კიშინიოვის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ფ. მ. ბაბენკომ და სხვებმა.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

# საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან მოსკოვს დაბრუნდა იუვარაჯი კარან სინგჰი

ინდოეთის ჯამუსა და ქაშმირის შტატის მეთაური იუვარაჯი კარან სინგჰი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები 13 მაისს მოსკოვს დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან.

ინდოელი სტუმრები იყვნენ ლენინგრადში, სტალინგრადში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, თბილისში, ტაშკენტში, სამარყანდში და სტალინაბადში. მათ დაათვალიერეს სამრეწველო საწარმოები, შეხვდნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, გაიცნეს ქალაქების კულტურული დაწესებულებანი და ღირსშესანიშნაობანი.

სსრ კავშირში მოგზაურობისას ქაშმირის სახელმწიფო მოღვაწეებს ახლდნენ ტაჯიკეთის სსრ კულტურის მინისტრი ალიყულ იმამოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ლ. მარკოვი და კ. ეფრემოვი. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალები—სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად!

# ავამაღლოთ ვაჭრობის კულტურა სოფლად!

ჩვენ ხშირად ვამბობთ: „მრეწველობის შვიდწლედი“, „სოფლის მეურნეობის შვიდწლედი“, „ჩვენი კულტურისა და მეცნიერების შვიდწლედი“. მაგრამ შვიდწლიანი გეგმა მარტო მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის უმაგალითო აყვავებას როდი ითვალისწინებს. ვაჭრობის მუშაკებსაც აქვთ თავიანთი შვიდწლედი. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, მოსახლეობის შემოსავლის ზრდა მოითხოვს ვაჭრობის გაუმჯობესებას და განვითარებას.

საკმარისია ითქვას, რომ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა შვიდ წელიწადში გადიდდება დაახლოებით 62 პროცენტით. ქალაქად და სოფლად მნიშვნელოვნად გაფართოვდება მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების, ქსოვილების, ტანსაცმლის, საცვლებისა და ფეხსაცმლის მიყიდვა.

ამ გვერდში მოთხრობილია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა ბრძოლაზე სოფლის მშრომელთა სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, შვიდწლიანი გეგმით სოფლად ვაჭრობის დარგში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

## მეჯვრისხეველთა პირობა

ქართლის გულში, გორის ახლოს მდებარეობს სოფელი მეჯვრისხევი. ოდესღაც ჩამორჩენილი და დაბეჩავებული სოფელი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აყვავდა, გაიფურჩქნა. მეჯვრისხეველი კოლმეურნის ბარაქიანმა მარჯვენამ ბევრი რამ გააკეთა თავისი მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სოფლის დოვლათის გასამრავლებლად. არნახულად გაიზარდა კოლმეურნეთა შემოსავალი.

დიდი ცვლილებები მოხდა ჩვენი სოფლის კულტურულ ცხოვრებაშიც: აშენდა სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი. საკოლმეურნეო სოფლის სიუხვემ და კულტურის ზრდამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია მოსახლეობის მოთხოვნილებებშიც. ჩვენი კოოპერატივის მომხმარებლები სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს უყენებენ სოფლის კოოპერატივს. მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის მუშაკები სულით და გულით ცდილობენ გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, რომ რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებანი.

მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის საქმიანობის ზონაშია 8 სასოფლო საბჭო, 7 კოლმეურნეობა, 17 სკოლა, საავადმყოფო და საფერშლო პუნქტები. მომხმარებელთა მომსახურებისათვის სოფლის კოოპერატივს აქვს 20 სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმო.

საცალო ქსელში საქონლის რეგულური წესით შეზიდვის სწორად განხორციელების შედეგად ყველა მაღაზია, დუქანი და საზოგადოებრივი კვების საწარმოო ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებს საქონელბრუნვის გეგმას. 1958 წლის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით, დამზადება-შესყიდვისა — 128 პროცენტით. 1959 წელიც კარგი მაჩვენებლებით დავიწყეთ. პირველი კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით.

სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების სავაჭრო ქსელი სპეციალიზებულია და წესრიგშია მოყვანილი. სოფელ მეჯვრისხევში არის სპეციალიზებული მაღაზიები, სამეურნეო მაღაზია, კულტმაღაზია, ნავთისა და მასთან დაკავშირებული საქონლით სავაჭრო, პურეული პროდუქტების ნაწარმის სავაჭრო მაღაზიები, სოფლის უნივერსალური სამრეწველო საქონლის მაღაზია, სადაც გამყიდველების მუშაობა ბრიგადულ-მატერიალურ პასუხისგებაზეა აგებული. სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების სასადილო გადაყვანილია თვითმომსახურებაზე. მასში შესამჩნევად გაიზარდა საქონელბრუნვა.

მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმასთან სოფლის კოოპერატივს აქვს უგამყიდველო ფარდული, სადაც იყიდება ასანთი, საპონი, თამბაქოს ნაწარმი, ფანქრები, კალმისტრები, რვეულები, წვრილი გალანტერეა, საკონდიტრო ნაწარმი და ა. შ. სამეურნეო საქონლის მაღაზიებში მოწყობილია თვითმომსახურების კუთხე.

იმ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებს, სადაც არ არის სტაციონარული სავაჭრო ქსელი, სოფლის კოოპერატივი მომსახურებას უწევს დატარებითი ვაჭრობის საშუალებით, რისთვისაც აქვს საჭაპანო ტრანსპორტი და ავტომისაბმელი.

სოფლის კოოპერატივის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს მეპაიეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას. ამ მიზნით შარშან გაიხსნა საპარიკმახერო, რომელშიც ოთხი ხელოსანი მუშაობს, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, ქუდების შესაკერი საამქრო.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ“ სერიოზულ ამოცანებს აკისრებს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებს. დიდი კმაყოფილება გამოიწვია ჩვენს კოლმეურნეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის აპრილის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

მეჯვრისხევის კოოპერატივის გამგეობამ გადაწყვიტა კიდევ უფრო გააფართოოს საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი. ამ მიზნით წელს სასოფლო საბჭოს დახმარებით მწყობრში ჩადგება აბანო, რომელიც დღეღამეში 100 კაცს მოემსახურება. აბანოსთან მოეწყობა მექანიკური სამრეცხაო; გაიხსნება საათებისა და საოჯახო ნივთების შემკეთებელი სახელოსნო, მოეწყობა სამჭედლო, ტანსაცმლის შემკერავი საამქრო; გაიხსნება აგრეთვე ჭრა-კერვის სკოლა მეპაიე დიასახლისებისათვის. საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებსა და საამქროებს გავაერთიანებთ ერთ კომბინატში, რომლისთვისაც აშენებული იქნება სპეციალური შენობა. უკეთ მოვაწყობთ საზოგადოებრივი კვების საქმესაც.

სოფლის კოოპერატივის მუშაკთა კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დავალებათა შესრულებას: იბრძვის მუშაობის მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის. ამით აიხსნება, რომ ათეული წლების განმავლობაში კოოპერაციული საკუთრების გაფლანგვის ან დატაცების შემთხვევები არ ყოფილა.

ჩვენი სოფლის კოოპერატივის მუშაკთა კოლექტივი შარშან ოთხჯერ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ცენტროსოიუზის გამგეობისა და ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი პრემიით და გარდამავალი წითელი დროშით. მეჯვრისხეველი კოოპერატორები პირობას დებენ კვლავაც თავდადებით იმუშაონ, წარმატებით შეასრულონ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

**ვ. როველიაშვილი,**
გორის რაიონის მეჯვრისხევის სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე.

## მისაბაძი ინიციატივა

**საზოგადოებრივი** კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებას მარტო კოოპერაციული ორგანიზაციები თავიანთი ძალებით ვერ გადაჭრიან. ეს კარგად ესმით რესპუბლიკის კოლმეურნეობებს. ამიტომ არის, რომ სამომხმარებლო კოოპერაციას დიდ და ყოველმხრივ დახმარებას უწევს კოლმეურნეობათა უმრავლესობა.

**მახარაძის რაიონის** სოფელ შრომის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს გადასცეს თავის კოოპერატივს კულტურის სახლის პირველ სართულში რვა ოთახი, სადაც მოაწყობენ საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს: ტანსაცმლის სამკერვალოს, ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოს, საპარიკმახეროს, ჭრა-კერვის სკოლას კოლმეურნე გოგონებისათვის და სხვა საწარმოებს. კომბინატს გადაეცემა აგრეთვე სოფლის ცენტრში ახლად აგებული კეთილმოწყობილი აბანო.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობა ასევე დიდ ღონისძიებებს ახორციელებს თავისი კოოპერატივების დასახმარებლად.

**ლენინგორის რაიონის** სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობა წელს კოოპერატივს აუშენებს სასადილოს და პურის საცხობს, გადასცემს სოფლის უნივერმაღის მოსაწყობად ორსართულიან შენობას. აგრეთვე გამოუყოფს შენობებს საპარიკმახეროს და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს მოსაწყობად.

**ზუგდიდის რაიონის** სოფელ ჭკადუაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ თავის კოოპერატივს გადასცა შენობა პურის საცხობისათვის. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს 1960 წლისათვის დაამთავროს სოფლის უნივერმაღის ორსართულიანი შენობის აგება, აგრეთვე უზრუნველყოს კოოპერატივი საჭირო შენობით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მოსაწყობად.

**წულუკიძის რაიონის** სოფელ ქვიტირის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ გადაწყვიტა წელს სოფლის ცენტრში აგოს კაპიტალური შენობა საყოფაცხოვრებო სახელოსნოებისათვის.

**ცხაკაიას რაიონის** მეტი წილი კოლმეურნეობები შეუდგნენ მშენებლობას ან სათანადო შენობის გამოყოფას საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მოსაწყობად და მაღაზია-სასადილოებისათვის. სოფელ ზანის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობა აგებს ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოს და საპარიკმახეროს შენობას. სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ თავის კოოპერატივს გადასცა შენობა მაღაზიის, პურის საცხობისა და სასადილოს მოსაწყობად.

**გეგეჭკორის რაიონის** მეტი წილი კოლმეურნეობები დიდ დახმარებას უწევენ თავიანთ კოოპერატივებს. კიწიის სტალინის სახელობის და აბედათის კოლმეურნეობებში დაიწყეს პურის საცხობის მშენებლობა. ლეხაინდრაოს, ხუნწის და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობებში აშენებენ მაღაზიებს.

**წითელწყაროს რაიონის** სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გამოჰყო ოთხი ოთახი, სადაც ეწყობა სამკერვალო, ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნო, საპარიკმახერო და ფოტოატელიე. ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა აშენებს ორსართულიან სოფლის უნივერმაღს და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს.

**ეჭვი არ არის, მახარაძის, წითელწყაროს, ზუგდიდის, წულუკიძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობების ამ კარგ ინიციატივას რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობა გამოეხმაურება.**

## კოლმეურნეობა ეხმარება კოოპერატივს

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ ამ ცოტა ხნის წინათ განიხილა ცეკავშირის გამგეობის წერილი კოოპერაციის მუშაობის შესახებ. ჩვენ გადავწყვიტეთ დავეხმაროთ ნაგომრის კოოპერატივს.

განზრახული გვაქვს ნაგომრის კოოპერატივის გამგეობა გადავიყვანოთ კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ სახლში, და იმ ოთახებში, რომლებიც ამჟამად კოოპერატივის გამგეობას უჭირავს, მოვაწყოთ ტანსაცმლის სამკერვალო სახელოსნო.

სოფლის უნივერმაღისათვის კოლმეურნეობა აგებს სპეციალურ შენობას, რომელსაც უახლოეს დროში დავამთავრებთ. იმ შენობას კი, სადაც ამჟამად მაღაზიაა, შევაკეთებთ და ნახევარში სასურსათო მაღაზიას მოვაწყობთ, მეორე ნახევარში — ფეხსაცმლის შემკეთებელ სახელოსნოს. გამოვნახეთ აგრეთვე შენობები კეთილმოწყობილი საპარიკმახეროს და საოჯახო ნივთების შემკეთებელი სახელოსნოს მოსაწყობად.

გადავწყვიტეთ კოოპერატივს გადავცეთ აბანოს შენობა. ამ შენობაში აბანოსთან ერთად კოოპერატივი მოაწყობს მექანიკურ სამრეცხაოს.

სოფლის ცენტრიდან მოშორებით, შუაისნარში კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებია, სადაც მუშაობენ მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 ბრიგადები. ამ ბრიგადების წევრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად შუაისნარში ავაგებთ მაღაზიისა და სასადილოს შენობებს, ეს მაღაზია და სასადილო ჩვენი სოფლის მოსახლეობის გარდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკნარის მოსახლეობის ნაწილსაც მოემსახურებიან.

კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობამ და კოლმეურნეობის აქტივმა დასახეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ნაგომრის კოოპერატივს არა მარტო შენობებისა და სადგომების გადაცემით, არამედ საქონელბრუნვის გეგმების შესრულებაში, საპაიო თანხის შეკრებაში და მაღაზია-სასადილოებსა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებში სრული და ყოველმხრივი წესრიგის დამყარებაში.

**შ. სარიშვილი,**
მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გამგეობის თავმჯდომარე.

## გულისხმიერი მუშაკი

დილაადრიან ვარლამი უკვე მაღაზიაშია. მაღალი ტანის, სანდომიანი კაცი გამჭრიახი თვალით ერთხელ კიდევ ამოწმებს თაროებზე ლამაზად დაწყობილ ნაირნაირ საქონელს, სადაც საჭიროა, მტვერს მოაშორებს, ზოგიერთ საგანს ადგილს შეუცვლის... ასე მეორდება ყოველ დილით, ამიტომ არის, რომ მაღაზიაში გამოფენილი საქონელი ადამიანის თვალსა და გულს ახარებს.

დიდი ხანია, რაც ვ. თოფურია დუშეთის რაიკავშირის კულტმაღაზიის გამგე-გამყიდველია. ვაჭრობის საქმეში ოც წელიწადზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დუშეთის კულტმაღაზია ყველაზე უკეთესი სავაჭრო დაწესებულებაა მთელ რაიონში.

რა საქონელს, რა ნივთს არ იპოვნით მაღაზიაში. აქ შეგიძლიათ შეიძინოთ ბავშვთა მრავალნაირი სათამაშო, რადიომიმღებები, რადიოლები, ფოტოაპარატები, სასპორტო ინვენტარი, მრავალფეროვანი ლიტერატურა, მოტოციკლები, ველოსიპედები, ტელევიზორები...

სულ უფრო იზრდება მომხმარებელთა რიცხვი. აქ სავაჭროდ ხშირად ჩამოდიან მეცხვარეები გუდამაყრიდან და მთიულეთიდან, მონადირეები შორეულ ხევსურეთიდან, სტუმრები მეზობელი რაიონებიდან. არცთუ იშვიათად ნახავთ მაღაზიაში თბილისელ მშრომელებსაც.

პატიოსნად და უნარიანად ემსახურება მომხმარებლებს „ძია ვარლამი“. იგი გულისხმიერად სწავლობს მეპაიეთა საჭიროებას. ამისათვის აქვს უბის წიგნაკი, რომელშიც იწერება ამა თუ იმ მომხმარებლის შეკვეთა. თუ რამეს დაავალებთ, დარწმუნებული იყავით, ვარლამი ყველაფერს გააკეთებს, თქვენი სურვილი რომ დააკმაყოფილოს.

ვ. თოფურია დაჯილდოებულია „საბჭოთა ვაჭრობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. ამ ჯილდოს იგი სიამაყით ატარებს.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებს რომ გაეცნო, ვარლამმა სიხარულით თქვა: — მე კარგად ვიცი, თუ როგორ გაიზარდა საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილება. სასიხარულოა, რომ მიმდინარე შვიდწლედში გამოშვებულ იქნება გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი საქონელი, ვიდრე ახლა გვაქვს. ჩვენი ღვიძლი საქმეა კვლავ განვამტკიცოთ ვაჭრობის მუშაკთა და მომხმარებელთა მეგობრობა...

ამ მეგობრობის შესანიშნავი მაგალითია თვითონ ვარლამ თოფურია, მისი პატიოსანი, შემოქმედებითი შრომა.

**ჯ. პაპიაშვილი,**
**ვ. ხულუზაური,**
დუშეთის რაიონული გაზეთის სტამბის მუშები.



წულუკიძის რაიკოოპკავშირის უნივერსალურ მაღაზიაში.

## ახალი მაღაზიები, კვების ობიექტები

ყოველწლიურად ფართოვდება კულტურული საბჭოთა ვაჭრობა ამბროლაურის რაიონის სოფლებში. წელს ახალი მაღაზია გაიხსნა სოფელ ჩორჯოში. კეთილმოწყობილი შენობები აიგო ხოტევისა და ხვანჭკარის სოფლის მაღაზიებისათვის. დასასრულს უახლოვდება ბუგეულში კაპიტალური მაღაზიის მშენებლობა. ასეთივე მაღაზიის მშენებლობა მალე დაიწყება სოფლებში თლუღსა და ბოსტანაში.

რაიონის მოსახლეობას მომსახურებას უწევს 11 საზოგადოებრივი კვების ობიექტი. ბოლო წლებში საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა. კაპიტალურად შეკეთდა ჭელიაღელის სოფლის კოოპერატივის ხარისთვალის სასადილო და ამბროლაურის რაიონული სასადილო. შარშან დაბაში გაიხსნა სასაუზმე-პავილიონი, ხოლო წელს ახალი სასაუზმე გახსნეს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე. ახლა საავეჯო საამქროს, სარემონტო-ტექნიკური სადგურისა და ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშა-მოსამსახურეებს აღარ უხდებათ სადილისათვის შორს სიარული.

სავაჭრო მაღაზიები და საზკვების ობიექტები ძირითადად კვალიფიციური კადრებით არის დაკომპლექტებული.

**ნ. შარაბიძე.**

# საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაცია შვიდწლედში

**ზ. კეცხოველი,**
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის აპრილის პლენუმმა, როგორც ცნობილია, განიხილა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი და მიიღო სათანადო დადგენილება. ეს დადგენილება რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და კოოპერაციული ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანად გადაიქცა.

შარშან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ მუშაობა ერთგვარად გააუმჯობესა. საქონელბრუნვის გეგმა 13 დეკემბერს შესრულდა და გეგმის გადამეტებით სოფლის მოსახლეობას მიეყიდა 200 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი. საზოგადოებრივი კვების გეგმაც გადაჭარბებით — 106 პროცენტით იქნა შესრულებული.

1958 წლის მოგების გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციამ 117 პროცენტით შეასრულა. კაპიტალურ მშენებლობაში შარშან 78 მილიონი მანეთი იქნა დახარჯული. აშენებულია 10 უნივერმაღი, 187 მაღაზია-დუქანი, 56 სასადილო, 37 ფურნე და მრავალი სხვა ობიექტი. შარშან კოოპერაციაში მიღებულ იქნა 178 ათასი ახალი წევრი-მეპაიე და აიკრიფა მილიონ მანეთზე მეტი საპაიო თანხა.

ამ დადებითი შედეგების პირობებში მით უფრო დაუშვებელია ის ნაკლოვანებები, რასაც ზოგიერთ კოოპერაციულ ორგანიზაციაში ვხედებით. ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი კოოპერაციული მაღაზია, სასადილო და სხვა წამოწყება ვერ ასრულებს ყოველთვიურ დავალებებს და გეგმებს, ქსელში ხშირად არ არის ის საქონელი, რაც საწყობებში აწყვია, ზოგან საქონლის ფასებს ამახინჯებენ და ა. შ.

სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები ითვალისწინებს გრანდიოზულ ამოცანებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში. როგორც ყველა რესპუბლიკის, ისე საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში დასახულია განვითარების მაღალი ტემპი. ამ პირობებში მკვეთრად იზრდება სამომხმარებლო კოოპერაციის როლი და მნიშვნელობა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შვიდწლედით დასახული გეგმების შესრულებას.

შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით საქონელბრუნვის ზრდა 68 პროცენტით, რაც რამდენადმე აღემატება საქონელბრუნვას ქალაქად. ამასთან გათვალისწინებულია საქონელბრუნვის ზრდა უმთავრესად სამრეწველო საქონლის ხვედრითი წონის ზრდის ანგარიშზე. საცალო ქსელში საქონელბრუნვის ზრდა მიაღწევს 73 პროცენტს, საზოგადოებრივ კვებაში — 34 პროცენტს, თუმცა საკუთარი პროდუქციის გეგმა გადიდებული იქნება ერთიორად.

საქონელბრუნვის ასეთ დიდ ზრდას თან უნდა სდევდეს სავაჭრო ქსელის გაფართოება. შვიდწლედის გეგმით დასახულია აშენდეს 900 მაღაზია, მათ შორის 620 სოფლის უნივერმაღი და 30 რაიუნივერმაღი. სოფლისა და რაიონის უნივერმაღები უნდა აშენდეს ახალი პროექტით, სადაც გათვალისწინებული იქნება ვაჭრობის ახალი ფორმები და ტექნიკა. გაფართოვდება მაღაზიები თვითმომსახურებით, აგრეთვე მაღაზიები საქონლის ღია გამოფენით. დიდად უნდა გაფართოვდეს შვიდწლედში დატარებითი ვაჭრობა.

განსაკუთრებით დიდი ამოცანა დგას სამომხმარებლო კოოპერაციის წინაშე საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

საზკვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა საბრძოლო ამოცანაა. შვიდწლედის გეგმით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ხაზით გათვალისწინებულია 600 ახალი სასადილოს სექსპლოატაციოდ გადაცემა და 25 ათასი დასაჯდომი ადგილის მატება. ამის მიხედვით შვიდწლედის ბოლოს საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას ექნება თითქმის 1.750 რესტორან-სასადილო 56 ათასზე მეტი დასაჯდომი ადგილით. სამომხმარებლო კოოპერაციის სასადილო-რესტორანები შვიდწლედის ბოლოს 70 მილიონ კერძს გამოუშვებენ, ე. ი. ორჯერ მეტს, ვიდრე 1958 წელს. საზოგადოებრივი კვება უნდა გავხადოთ უფრო მასობრივი, მოსახლეობისათვის მოსახერხებელი და ხელსაყრელი.

დიდი მუშაობა შესრულდება სასადილოების აღჭურვისათვის სრულყოფილი ტექნოლოგიური დანადგარებით, მაცივრებით, ხორცისა და ბოსტნეულის დასამუშავებელი მანქანა-იარაღებით, ჭურჭლის მექანიკური სამრეცხაო მანქანებით. კოოპერაციულმა სასადილოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა მომსახურებას პირდაპირ პლანტაციებში, მინდორ-ველად.

საყოფაცხოვრებო მომსახურებას სოფლად ძალიან ნაკლები ყურადღება ექცეოდა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთელი რიგი ღონისძიებანი დასახეს ამ საქმის მოსაგვარებლად. მართალია, წინა წლებში და განსაკუთრებით შარშან საყოფაცხოვრებო მომსახურების თითქმის 450 საწარმო მოაწყო საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა.

1959-1961 წლების განმავლობაში სოფლად უნდა მოვაწყოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების 1.800-ზე მეტი სახელოსნო, 1962 წლისათვის სოფლად 2.275 საწარმო და საამქრო უნდა იყოს. ცეკავშირის გამგეობას დასახული აქვს ქალაქების, რაიონული ცენტრების, საბჭოთა მეურნეობებისა და მსხვილი კოლმეურნეობების საწარმოებსა და საამქროებს თავი მოუყაროს კომბინატებში. მცირე დასახლებულ ადგილებში კი ცალკე საწარმოებს გავხსნით.

კოოპერაციულ ორგანიზაციებს ბევრგან უკვე წელსვე, დიდი თანხების დაუხარჯავად შეუძლიათ ასეთ წარმოებათა მოწყობა სოფლის მაღაზიების სასაწყობო მეურნეობის ფართობის ნაწილობრივი გამოყენებით.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას დიდ დახმარებას უწევენ რესპუბლიკის კოლმეურნეობები მაღაზია-სასადილოების, პურის საცხობებისა და საყოფაცხოვრებო საწარმოების მშენებლობა-მოწყობაში. ჯერჯერობით ცოტა კეთდება საყოფაცხოვრებო მომსახურების წამოწყებათა, მაღაზია-სასადილოთა ქსელის გასაფართოებლად ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა-დამზადებას დიდი ადგილი უჭირავს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში. შვიდწლიანი გეგმით განზრახულია მკვეთრად გაფართოვდეს დამზადების საქმიანობა. საკმარისია ითქვას, რომ 1965 წელს გათვალისწინებულია 120 ათასი ტონაზე მეტი თესლოვანი და კურკოვანი ხილის და 40 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება. ამ დიდი ამოცანების შესასრულებლად საჭირო იქნება ტექნიკური ბაზის მშენებლობის გაძლიერება.

შვიდწლედით გათვალისწინებულია 120 მილიონი მანეთის დახარჯვა საკონსერვო ქარხნების, საფუთავი ქარხანა-პავილიონების, სასაწყობო მეურნეობების, მაცივრების მშენებლობისათვის. საჭირო ტექნიკური ბაზა იქნება აგებული აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების უზრუნველსაყოფად. აშენდება სასაკლაოები, კვერცხის, ტყავის, მატყლის და მეორადი ნედლეულის სასაწყობო მეურნეობა.

სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაში სულ უფრო ფართო ხდება წარმოებაც: პურის ცხობა, ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება, ძეხვეულის, უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის და ნაწილობრივ სამრეწველო საქონლის გამოშვება. კოოპერაციას დასახული აქვს თითქმის ერთიორად გაადიდოს წარმოების მოცულობა. საქართველოში ამის დიდი შესაძლებლობა არსებობს.

ასეთი დიდი ამოცანების შესასრულებლად განზრახულია შვიდწლედის მანძილზე 578 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი მშენებლობის ახალი ტექნიკით აღჭურვისათვის. სამომხმარებლო კოოპერაცია კაპიტალურ დაბანდებებს მხოლოდ თავისი სახსრებიდან აწარმოებს. ამიტომ საჭიროა ყველა კოოპერაციულმა ორგანიზაციამ რენტაბელურად იმუშაოს, შეამციროს ზედმეტი ხარჯები, დანაკარგები, არ დაუშვას კოოპერაციული ქონების დატაცება-განიავება.

კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა საქონლის მიღების დროს მკაცრი მოთხოვნილება უნდა წაუყენონ მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ბაზებს, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან უხარისხო საქონლის შეზიდვა სოფლის ქსელში. ამ შემთხვევაში სამომხმარებლო კოოპერაციას რომ მეტი გავლენის მოხდენა შეეძლოს მრეწველობაზე, უნდა შეიცვალოს საქონლის საბითუმო ვაჭრობის წესი. საჭიროა გაფართოვდეს საქონლის მიღება მრეწველობასთან კოოპერატივების პირდაპირი ხელშეკრულებით, საბითუმო ბაზების გვერდის ავლით.

ამავე დროს საჭიროა სერიოზულად გადაისინჯოს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის არტელების პროდუქციის ასორტიმენტი და შემცირდეს ან სრულიად ამოღებულ იქნას მათი წარმოებიდან ისეთი საქონლის გამოშვება, რასაც სათანადო რაოდენობით აწარმოებენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ფაბრიკა-ქარხნები. სამაგიეროდ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ხაზით საგრძნობლად უნდა გადიდდეს საშენი მასალების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოება, რაზეც სოფლად დიდი მოთხოვნილებაა.

რესპუბლიკის მგეგმავმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ კოლმეურნეობებსა და სოფლებში წარმოებული მშენებლობებისათვის საშენი მასალების მეტი ფონდების გამოყოფა კოოპერაციული ორგანიზაციებისათვის. ამავე დროს სამომხმარებლო კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა ინიციატივა უნდა გამოიჩინონ დეცენტრალიზებული წესით ადგილობრივი საშენი მასალების დამზადებაში და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მის მიწოდებაში.

სამომხმარებლო კოოპერაციის საბრძოლო ამოცანაა ვაჭრობის კულტურის ამაღლება, მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესება, ვაჭრობის ახალი ფორმების დანერგვა: მაღაზია-სასადილოების თვითმომსახურებაზე გადაყვანა, წინასწარ დაკვეთით საქონლის სახლში მიტანა და სხვ.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკები თავიანთ წვლილს შეიტანენ შვიდწლედის დიდებული ამოცანების შესრულებაში, პრაქტიკული საქმეებით გაამართლებენ იმ დიდ ნდობას და ყოველდღიურ ზრუნვას, რასაც მის მიმართ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ.

# წუნის მკეთებლები და მოტყუებული მომხმარებელი

[illegible]

ქუთაისის სავაჭრო ქსელში გამოტანილია არტელ „ინკომუნის“ პროდუქცია — დეკორაციული ხალიჩები, რომლებიც თავისი ფორმით თვალს იტაცებს. საქონელი სწრაფად იყიდება, მაგრამ მისი ტექნოლოგიური ანალიზი დაბალ ხარისხზე მეტყველებს. არტელის პროდუქციის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ არტელის საამქროები ძირითადად მოთავსებულია შეუფერებელ კერძო ბინებში, გაფანტულია ქალაქის სხვადასხვა მხარეს. ზოგიერთ საამქროში უამინდობის დროს ტრანსპორტითაც კი მოუხერხებელია მისვლა. № 4 საამქრო (საამქროს გამგე ა. სეფიაშვილი) მოთავსებულია კერძო ბინაში. საამქროს პიკის საქსოვი ოთახი დაბალჭერიანია, არა აქვს ფანჯრები, ხოლო დეკორაციული ხალიჩების საქსოვის ადგილსამყოფელი ფიცრის ფარდულია. სამღებრო განსაკუთრებით პრიმიტიულია და ღია ცის ქვეშ არის.

№ 4 საამქროში უხეშად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესები, უსაფრთხოების ტექნიკა. საქსოვი დაზგები მოუვლელია. ცხადია, აღნიშნული ფაქტები გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე, იწვევს მის დაცემას.

ამავე არტელის ბამბის საპენტი საამქროს მიერ გამოშვებული პროდუქცია დაბალხარისხოვანია. ბამბის საბნები და ლეიბები უხეში და ჭუჭყიანია, სავსეა კლერტებით. ბამბას საჩეჩ მანქანებში არ ატარებენ. საამქროს მიერ გამოშვებული ბამბა საავეჯო წარმოებაში უფრო გამოდგება, ვიდრე საბნებისა და ლეიბებისათვის.

ნაწილობრივ დაბალხარისხოვან ქსოვილებს უშვებენ ამავე არტელის № 1 და № 2 საამქროები.

არტელ „დამკვრელის“ მიერ გამოშვებულ მდარე პროდუქციაზე ლაპარაკობენ თვით მომხმარებლები. ქუთაისის ერთ-ერთ მაღაზიაში აღმოჩენილ იქნა ამ არტელის მიერ შეკერილი ტანსაცმელი, რომელსაც მრავალი დეფექტი ჰქონდა, ხოლო ნაცვლად მესამე ხარისხისა ეს საქონელი მარკირებული იყო პირველ ხარისხად. შემოწმებულ იქნა წარმოებაც, სადაც პირველ ხარისხად მარკირებული 50 ცალი პიჟამო (არტიკული 4338) შეკერილი იყო უთანაბრო ნაკერით, არ იყო გაწმენდილი ძაფის ბოლოებისაგან, შარვლებში გაეყარათ დაბალხარისხოვანი რეზინი, უთანაბროდ ჰქონდა დაკერებული ჯიბეები, ხოლო სიგრძეში ერთი სანტიმეტრი აკლდა. სახელოებს შორის სხვაობა ერთ სანტიმეტრამდე აღწევდა. აღნიშნული საქონელი პირველი ხარისხიდან გადაყვანილ იქნა მესამე ხარისხში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის საქსოვ ფაბრიკას საუკეთესო პერსპექტი- [illegible] ქსოვილი (არტიკული 2805) ათვისების პროცესშია. მანქანებზე ძაფის საწმენდების უქონლობის გამო ქსოვილს ემჩნევა ნართში არსებული შენარევები, რაც უხეშ სახეს აძლევს ქსოვილს.

დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ არა მარტო წვრილი არტელები, არამედ მსხვილი საწარმოებიც. მაგალითად, ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი ქ. აფრიდონიძე, მთავარი ინჟინერი ს. უგულავა, ტექნიკური ხელმძღვანელი ე. აგლაძე) შეკერილი ტანსაცმელი დეფექტიანია. 800 სათხილამურო კოსტიუმს, რომელიც დამარკირებული იყო პირველ ხარისხად, დაკერებული აქვს შეუფერებელი ღილები, არათანაბრად მისდევს ნაკერი. „ტოლსტოვურები“ გაუწმენდავია საწარმოო ნაგვისაგან. ყავისფერ ქსოვილზე მიკერებულია შავი ღილები.

ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის დაბალი ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ნედლეულია. არაერთი მოთხოვნილება წაუყენებია ფაბრიკის ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოსათვის, რომ მკაცრი კონტროლი დააწესოს მიწოდებული ნედლეულის ხარისხზე, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ფაბრიკის მუშაობას სერიოზულად აფერხებს ღილების, ძაფის და „ზმეიკების“ უქონლობა.

დაბალი ხარისხის ფეხსაცმელი იყიდება ქუთაისის სავაჭრო ქსელში. მაღაზიებში გამოტანილია ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის (დირექტორი გ. დალაქიშვილი, მთავარი ინჟინერი გ. ჯანაშია) პროდუქცია. რეზინის ძირიანი სანდლეტები მარკირებული იყო პირველ ხარისხად, მაშინ, როცა ქუსლებზე დარტყმული ლურსმნები ამოშვერილი იყო, ზოგი ფეხსაცმელი კი გარღვეული. ქუთაისვაჭრობის № 131 მაღაზიაში იყიდებოდა ქალის ლაქის ფეხსაცმელი, რომელსაც ქუსლზე გადაკრული ტყავი დეფორმირებული ჰქონდა, აქა-იქ დამსკდარი იყო ზედაპირი, ხოლო საქონელს დარტყმული ჰქონდა პირველი ხარისხის იარლიყი.

აღმაშფოთებელი მდგომარეობაა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატის ავეჯის ფაბრიკაში. ფაბრიკის მიერ გამოშვებული ავეჯი დაბალხარისხოვანია. ფიცრები დაცილებულია ერთი სანტიმეტრით, წებოს უვარგისობის გამო ფანერა ადგილ-ადგილ ამძვრალია, კარადის წინა მხარის ზედაპირი არათანაბარია, გადაკრულ ფანერას აშკარად ემჩნევა ბზარები. შემოწმებისას 117 კარადა წუნდებული აღმოჩნდა.

ფაბრიკას საწყობი არა აქვს. მზა პროდუქციის გაცემა უშუალოდ საამქროდან ხდება. [illegible] რის ფაბრიკა წუნდებულ პროდუქციას უგზავნის ფაბრიკას. ცხაკაიაში დამზადებული წებო საჭირო სტანდარტს არ შეესაბამება. ფაბრიკა იღებს გაუშრობ მასალას, აქ კი საშრობი საამქრო ჯერაც არ მოუწყვიათ და ავეჯი ნედლი მასალისაგან მზადდება.

ადგილობრივი საწარმოების მიერ გამოშვებულ ყველა სახის პროდუქციაზე სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად მარკირებას არ უჩვენებენ, არ უჩვენებენ სტანდარტის ნომერს, შეღებვის სიმტკიცეს და, რაც მთავარია, პროდუქციის გამოშვების თარიღს. ეს კი ეჭვს ბადებს ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელის დანაშაულებრივ მოქმედებაში.

**ზ. გახუტაშვილი,**
საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ხარისხის საექსპერტო ბიუროს ექსპერტი,
**შ. ჯავახაძე,**
**გ. ხეჩუაშვილი,**
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

### „წუნის მკეთებლები და მათი მფარველები“

„კომუნისტის“ 18 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა რეიდის მასალა, რომელშიც მხილებული იყო სარეწაო საბჭოს არტელებში, აგრეთვე დედაქალაქის მსუბუქი მრეწველობისა და ადგილობრივი მრეწველობის ცალკეულ საწარმოებში სახელმწიფო სტანდარტების დარღვევის, დაბალხარისხოვანი, ზოგჯერ წუნდებული პროდუქციის გამოშვების ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შ. მინდიაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ბ. კვერღელიძე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორი გ. მღებრიშვილი გვატყობინებენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებასა და სახელმწიფო სტანდარტების დარღვევაში დამნაშავე პირებს სათანადო სასჯელი დაედოთ, ხორციელდება ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

# გამოჩენილი მეცნიერი

პიერ კიურის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო



შესრულდა ასი წელი დიდი ფრანგი მეცნიერისა და მოქალაქის პიერ კიურის დაბადებიდან. პიერ კიური ეკუთვნის მეცნიერთა იმ რიცხვს, რომელთა ღვაწლს მუდამ პატივისცემით მოიხსენიებს კაცობრიობა. მის სახელთან დაკავშირებულია ფიზიკაში, ქიმიაში, ბუნების მთელი რიგი კანონების აღმოჩენა.

განსაკუთრებით დიდია პიერ კიურის დამსახურება მეუღლესთან — მარი სკლადოვსკაიასთან ერთად რადიაქტიური ელემენტების აღმოჩენისა და შესწავლის საქმეში, როგორც ცნობილია, რადიაქტივობა აღმოაჩინა ანრი ბეკერელმა 1896 წელს. ბეკერელის მუშაობა დაკავშირებული იყო რენტგენის სხივების აღმოჩენის შემდგომ გამოკვლევებთან, ფოსფორესცენციისა და ფლიუორესცენციის თვისების მქონე ნივთიერებათა მოქმედებასთან ფოტოგრაფიულ ფირზე. ამ ცდების შედეგად ანრი ბეკერელმა აღმოაჩინა ურანის რადიაქტიური თვისებები. ამავე დროს გაწეული გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ ურანი სუფთა სახით უფრო ინტენსიურ გამოსხივებას იძლევა, ვიდრე მისი შენაერთები. მარი სკლადოვსკაია — კიურიმ ჩაატარა სისტემატური გამოკვლევები მაშინ ცნობილი ელემენტების რადიაქტიური თვისებათა გამოვლინებისა და შესწავლის მიზნით. ამ ცდების შედეგად დამტკიცდა, რომ შენაერთში ურანის რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება გამოსხივების ინტენსივობა. იგივე შედეგები იქნა მიღებული თორიუმის მიმართ.

ჩატარებული ცდების შედეგად პიერ და მარი კიური მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რადიაქტივობა წარმოადგენს რადიაქტიური ელემენტების ატომურ თვისებას და არ არის დამოკიდებული სხვა გარეშე ფაქტორებზე. რადიაქტიური ელემენტებისათვის დამახასიათებელი ეს ძირითადი დებულება შემდეგში საფუძვლად დაედო მათს შესწავლას. მარი და პიერ კიურის ერთად მუშაობის შედეგად აღმოჩენილ იქნა ორი ახალი რადიაქტიური ელემენტი — რადიუმი და პოლონიუმი. რადიაქტიური ელემენტების თვისებათა შესწავლისას პიერ კიურიმ და მისმა მეუღლემ 1899 წელს პირველმა შენიშნეს მინასა და ფაიფურზე რადიუმის სხივების ფერის შემცვლელი მოქმედება. მათვე დაადგინეს რადიაქტიური სხივების მოქმედება ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებზე.

1903 წელს პიერ კიურიმ პირველად შეამჩნია რადიუმის მარილების მიერ სითბოს თავისთავად გამოყოფის მოვლენა. შემდეგში დადგენილ იქნა, რომ ერთი გრამი რადიუმი ერთი საათის განმავლობაში ტემპერატურის უცვლელობის პირობებში გამოჰყოფს 138 კალორია სითბოს, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 1.208.880 კალორიას. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რადიუმის სიცოცხლის ხანგრძლივობა ორი ათას წელიწადს შეადგენს, მაშინ ერთ გრამ რადიუმს გარდაქმნის შედეგად შეუძლია მოგვცეს კოლოსალური რაოდენობის — ორნახევარი მილიარდი კალორია სითბო.

რადიაქტივობის მოვლენის აღმოჩენა მთელი მსოფლიოს მეცნიერების მიერ შეფასებული იყო, როგორც დიდი მიღწევა ბუნების კანონების შეცნობის საქმეში, კერძოდ მედიცინაში გამოყენების თვალსაზრისით. ჯერ კიდევ შორს იყო მეცნიერება ატომური ბომბის დამზადებისა და ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ატომის ენერგიის ჩაყენებისაგან. მიუხედავად ამისა, პიერ კიურიმ 1903 წელს ნობელის სახელობის პრემიის მიღების დროს წარმოთქმულ სიტყვაში ასე დაახასიათა ამ მოვლენის მნიშვნელობა: „ძნელი არ არის დავინახოთ, რომ რადიუმი დამნაშავის ხელში შეიძლება გახდეს ძლიერ საშიშ იარაღად... მაგრამ ახალ აღმოჩენებს საბოლოო ანგარიშით უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ, ვიდრე ზიანი“. მისი ეს სიტყვები დრომ სავსებით გაამართლა. დღეს ჩვენ ყველანი ამის მოწმენი ვართ.

პიერ კიური იყო შესანიშნავი ექსპერიმენტატორი ფიზიკოს-ქიმიკოსი. აღსანიშნავია, რომ მან მუშაობა დაიწყო სრულიად მოუწყობელ ლაბორატორიაში — მუშაობდა კიბის ქვეშ. ლაბორატორიაში იგი იყენებდა ძირითადად თავისი ხელით დამზადებულ ხელსაწყოებს.

აღსანიშნავია, რომ ნობელის სახელობის პრემიის მიღების შემდეგაც არ მომხდარა რაიმე ცვლილება მისი მუშაობის პირობების გაუმჯობესების მხრივ.

პიერ კიური დაიბადა ექიმის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ოჯახში (სკოლაში არ ყოფილა) დაქირავებული მასწავლებლისაგან, რომელსაც შემდეგში პიერი დიდი პატივისცემით იხსენიებდა. საშუალო სკოლის კურსის გამოცდების ჩაბარების შემდეგ ის მუშაობას იწყებს დეზენის ლაბორატორიაში პრეპარატორის თანამდებობაზე, სადაც შესრულა პირველი მეცნიერული შრომა. მეცნიერული მუშაობის პირველი პერიოდი, რომელიც ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით მდიდარია, უშუალოდ დაკავშირებულია მის ძმასთან ჟან კიურისთან, ხოლო მეორე ნახევარი, დაწყებული 1895 წლიდან, მისი მეუღლის მარი კიურის მოღვაწეობასთან.

პიერ კიური იყო უაღრესად თავმდაბალი, მაღალი პრინციპულობის, მეცნიერებისათვის თავდადებული ადამიანი. დამსახურებულად მიღებული ნობელის პრემია პიერ და მარი კიურიმ მთლიანად მოახმარეს რადიუმით მკურნალობის პროგრესულ საქმეს. მშობლების დიდი ტრადიციები განაგრძეს სახელოვანმა ქალიშვილმა ი. კიურიმ და მისმა ქმარმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ. მათაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვით მეცნიერების განვითარებისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

პიერ კიური გარდაიცვალა 1906 წელს სრულიად ახალგაზრდა, მას შეეძლო ბევრი რამ გაეკეთებინა მეცნიერებისათვის. ორმოცდაცამეტი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. გაივლის კიდევ ასეული წლები, მაგრამ მისი როგორც დიდი მეცნიერის, მასწავლებლისა და მოქალაქის ხსოვნა არ წაიშლება მადლიერი კაცობრიობის გულში.

პიერ კიური დარჩება როგორც ფიზიკისა და ქიმიის დარგის მეცნიერთა უდიდესი წარმომადგენელი.

მეცნიერების პროგრესისათვის თავდადებული ცოლ-ქმრის პიერ და მარი კიურის პატივსაცემად ერთ-ერთ ახალაღმოჩენილ ელემენტს „კიურიუმი“ ეწოდა.

**დოცენტი ნ. ფირცხალავა.**




# ქვის ბუდის დასასრული

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

მძიმედ მისდევს ერთმანეთს პირქუში მუსიკის ტაქტები. ოდნავ ნათდება და სცენის სიღრმეში თანდათან გასარჩევი ხდება ადამიანთა გაქვავებული სილუეტები. დიდ, ქვისაგან გამოთლილ ბუხარში გიზგიზებს ცეცხლი—ოჯახის სიმტკიცისა და ურყეობის სიმბოლო, პაუზა. შემდეგ კი, თითქოს სიცოცხლის სიომ დაჰბერაო, ავტომატურად ამოძრავდნენ მოქმედი პირები, გაისმა პიესის პირველი სიტყვები.

ასე იწყება ჰელა ვუოლიიოკის პიესა „ქვის ბუდე“ („ნისკავუორის ქალები“) ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ფინელი დრამატურგის ამ პიესას, რომელმაც მაყურებლის ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, უთუოდ ეტყობა დიდი რუსი დრამატურგის ა. მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვას“ გავლენა, თუმცა მოქმედების ადგილიც, ხასიათებიც სხვაგვარია.

ამ ორ ნაწარმოებს აერთებს ერთი დიდი სოციალური თემა — „საქმე“, რომელსაც ცხოვრება შესწირეს ვასა ჟელეზნოვამ და ნისკავუორის დიასახლისმა. იშლება, ინგრევა სიმდიდრეზე, ქონებაზე აგებული ოდესღაც უძლეველი სიმაგრე ოჯახისა და არსად არის ის ცვლა, რომელმაც უნდა განაგრძოს, განამტკიცოს და გააფართოოს წინა თაობების მონაპოვარი.

გორკის ვასა ჟელეზნოვა პიესის ფინალში კვდება; ნისკავუორის დიასახლისი, შვილებისაგან მიტოვებული, მარტოდ რჩება ჩამქრალ კერასთან, სასოწარკვეთილი და უძლური.

„ქვის ბუდეში“ წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის, მდგომარეობის, ურთიერთობის რთული ფსიქოლოგიური ხლართი: ფინეთის ერთ-ერთ ყრუ კუთხეში, ჰელსინკიდან სოფლად ჩამოდის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალი ილონა ალგრენი. დრამატურგი ოსტატურად გვიჩვენებს როგორ შეარყია ახალი ადამიანის გამოჩენამ ნისკავუორის მდორე, მიძინებული ცხოვრება, როგორი მღელვარება და სიძულვილი გამოიწვია ილონას თავისუფალმა, ჯანსაღმა აზრებმა, მისმა დამოუკიდებელმა ხასიათმა. დიასახლისის ვაჟი აარნე სამუდამოდ მიატოვებს ოჯახს, მეურნეობას და ილონასთან ერთად იწყებს ახალ ცხოვრებას, თავისუფალი, ძლიერი და ბედნიერი.

პიესაში მოქმედება სწრაფად, დაძაბულად ვითარდება, ნაწარმოების გმირთა შორის რთული, მკვეთრი ურთიერთობაა, რომელიც მძაფრ სოციალურ და ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს იწვევს. ავტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარემოს, ეროვნული კოლორიტისა და ყოფის გადმოცემას, მთავარი მისთვის ადამიანებია, მათი განცდები, ხასიათთა განვითარება. გმირები აქტიურნი არიან, თავიანთ განცდებს გულში მალავენ, ისინი უფრო მოქმედებენ, ვიდრე ლაპარაკობენ თავიანთ გრძნობებზე (ერთადერთ გამონაკლისს აარნეს ცოლი მართა წარმოადგენს).

როგორც რეჟისორ მ. ოლშანიცკაიას, ისე სპექტაკლში მონაწილე მსახიობების სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ მათ შექმნეს ღრმა გრძნობებისა და რთული ფსიქოლოგიური განცდების ანსამბლური სპექტაკლი. მ. ოლშანიცკაია ძუნწია გარეგნულ გამომხატველობით საშუალებებში. მთელი ყურადღება სპექტაკლში გამახვილებულია გმირთა ურთიერთობის შინაგან გახსნაზე, საჭირო განწყობილების შექმნაზე. რეჟისორი, ჩვენი აზრით, სამართლიანად იქცევა, რომ აარნესა და ილონას სიყვარულის თემას გვერდში უყენებს მოხუცი დიასახლისის იმედებს. ქვის ბუდეთა ნგრევის თემას და გარემოს ღრმად რეალისტური გადმოცემით ამახვილებს ნაწარმოების სოციალურ მომენტებს...

სარეცენზიო სპექტაკლის დიდ ღირსებას წარმოადგენს ნისკავუორის მეპატრონე. დიასახლისი ნიჭიერი ოსტატის ეკ. სატინას შესრულებით. ეკ. სატინა დიდი გამოცდილების და სცენური კულტურის მსახიობია. თავისი მდიდარი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე მას არა ერთი მაღალმხატვრული სახე შეუქმნია. მისი უკანასკნელი ნამუშევარიც ამ საუკეთესო სცენურ ქმნილებებს ეკუთვნის.

პირველი აქტიდან ბოლომდე სატინა შესანიშნავად გვიჩვენებს თავისი გმირის შინაგან განცდათა განვითარებას, პირველ აქტში იგი ამაყი და თვითრწმენით სავსეა, შემდეგ კი მისი სული თანდათან იწყებს აფორიაქებას. პირველად მას არც უკვირს აარნეს ღალატი — რა ვუყოთ, ასეთნი იყვნენ ყოველთვის ნისკავუორელი მამაკაცები, მათ შორის მისი ქმარიც. მაგრამ ისინი ღალატობდნენ, უკანონო შვილებს აჩენდნენ და კვლავ მორჩილნი თავიანთ მომთმენ ცოლებს უბრუნდებოდნენ, უბრუნდებოდნენ, რადგანაც ოჯახის კეთილდღეობა ცოლების მხითევზე იყო დაფუძნებული. ასე იყო წინათ, ასე უნდა იყოს ყოველთვის, ამიტომაც დიასახლისი-სატინა არ ღელავს დასაწყისში, იგი მხოლოდ აფრთხილებს ილონას. ცდილობს შთააგონოს, რომ არაფერი კეთილი არ გამოვა მისი სიყვარულიდან, აარნე დაუბრუნდება თავის სახლს, ის ხომ მისი მემკვიდრეა. ამიტომაც ყოველივე ის, რაც შემდეგ ხდება, ჭეშმარიტად კატასტროფას წარმოადგენს, ვერ თავსდება ნისკავუორის მფლობელის შეგნებაში. სატინა დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გვიხსნის თავისი როლის მეორე თემას — ილონასთან დამოკიდებულებას. ილონა თანდათანობით აღღობს მის ყინულივით ცივ გულს, უღვიძებს მას დიდი ხნის წინათ მივიწყებულ გრძნობებს. გაბედული, წმინდა და ლამაზი გრძნობებით შეპყრობილი ქალი თანაგრძნობას იწვევს მასში. დიასახლისი-სატინა იცავს თავის საძულველ რძალს, რადგანაც იცავს ოჯახის სიწმინდესა და ურყეობას, მაგრამ გულით თანაუგრძნობს აარნესა და ილონას სიყვარულს. ამიტომ სპექტაკლში ჟღერს არა მარტო ქვის ბუდეების ნგრევის მოტივი, არამედ ცხოვრების დამკვიდრების თემაც — ფინალში მოხუცი აღიარებს ცხოვრებაში შვილების საკუთარი გზით სვლის უფლებას.

ეკ. სატინამ ნისკავუორის დიასახლისის როლში მონახა მოძრაობის სწორი, აუჩქარებელი რიტმი, ჩაკვირვებული გამოხედვა, ხმის თავისებური ინტონაციები. მსახიობი თავის დიასახლისს თამაშობს მძლავრად, სადად. ჩვენს თვალწინ იშვა კიდევ ერთი ახალი ღრმად საინტერესო ადამიანური ხასიათი და ამაშია მსახიობის დიდი გამარჯვება.

როგორც გარეგნულად, ისე შინაგანად მსახიობ **ი. რუსინოვს** კარგად მოუხდა აარნეს როლი. პიესის დასაწყისში რუსინოვის აარნე მშფოთვარე, ჯიუტი, თავნება ადამიანია. თანდათან ჩვენ ვხედავთ, როგორ მძაფრად იტაცებს მას განუცდელი გრძნობა სიყვარულისა, იმორჩილებს და სულიერად ამაღლებს, აკეთილშობილებს. მსახიობი სწორად იქცევა, როდესაც არ ცდილობს წინ გაუსწროს მოქმედების განვითარებას, მას არ აშინებს თავისი გმირის შინაგანი ყოყმანისა და შიშის გადმოცემა, ამიტომ გასაგებია მართასთან ლაჩრული სცენა. აარნე-რუსინოვი მძლავრად განიცდის შინაგან წინააღმდეგობას, მას უჭირს არჩევანი, უძნელდება მეურნეობის მიტოვება. უკანასკნელ სურათში იგი თითქმის უარყოფს თავის სიყვარულს, ნებას აძლევს ავყია, ბოროტ და უგულო ადამიანებს შეურაცხყონ მისი გრძნობა, საყვარელი ქალი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსინოვი ასუსტებს როლის ძირითად ხაზს. თუ მანამდე იგი კარგად გვიჩვენებდა აარნეს შინაგან ჭიდილს, ბოლო სცენებში იგი როგორღაც გამოთიშულია, უმოქმედო, შერიგებული, ამიტომ სრულიად მოულოდნელი ხდება მისი გადაწყვეტილება დამორჩილდეს თავის გრძნობას, მიატოვოს ოჯახი.

**ლ. ზვერევას** შესრულებით აარნეს მეუღლის მართას სახე შინაგანად რთული და საინტერესოა — მართას თავისებურად უყვარს აარნე, თავისებურად იტანჯება, მას არ ესმის ქმრის გატაცება, არ ესმის რატომ მიატოვა იგი მან. მართა ძუნწი და პრაქტიკულია, ხარბი, ეგოისტური, და ყოველივე ამას ლ. ზვერევა თანდათანობით, სიმართლითა და დამაჯერებლობით გვიჩვენებს სპექტაკლის მანძილზე. მართას როლი ახალგაზრდა მსახიობის უთუოდ კარგი შემოქმედებითი მიღწევაა.

გარეგნულად ნაზი, მომხიბვლელი და უშუალოა ნ. ბურმისტროვას ილონა. ნამდვილი სცენური მომხიბვლელობით დაჯილდოებული მსახიობი თავიდანვე იმსახურებს მაყურებლის სიმპათიას.

ილონა დარწმუნებულია თავისი გრძნობის სამართლიანობაში. ამიტომ არაფრისა არ ეშინია. ეს სუსტი და ნაზი არსება მზად არის შეებას მთელ ქვეყანას თავისი წმინდა სიყვარულის დასაცავად. ნ. ბურმისტროვა ხაზს უსვამს იმ აზრს, რომ სიყვარულის უფლებას ეკლესია კი არ იძლევა, არამედ სიყვარული. ილონა-ბურმისტროვა ყველაფერს სწირავს თავის გრძნობას და არაფერს თხოულობს სამაგიეროს, იგი უანგარო და წმინდაა, ამიტომ იმარჯვებს მართას მესაკუთრულ, ეგოისტურ გრძნობაზე. თავშეკავებულად, მაგრამ დიდი შინაგანი მღელვარებით ატარებს ბურმისტროვა სპექტაკლის უკანასკნელ სცენებს. იგი სიმართლის რწმენით სავსეა მაშინაც კი, როდესაც მართა შეურაცხყოფას აყენებს, და ხმადაბლა წარმოთქვამს: „ის რას გამიგებს, ჩვენ ახვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ“...

ბურმისტროვას მიერ ილონას როლის სწორი წარმართვა სავსებით კანონზომიერს ხდის პიესის ფინალს, გასაგები ხდება რატომ აირჩია ეს ქალი აარნემ, რატომ დასთმო მისთვის ყველაფერი, რაც წინათ ძვირფასად და აუცილებლად მიაჩნდა.

**ა. ნირვანოვი** კარგად გადმოგვცემს სიმოლას მეპატრონის სულიერ განცდებს. იგრძნობა, როგორ გაუღვიძა მას ილონამ კეთილშობილური გრძნობები, მაგრამ, ამასთან ერთად, ამ სახეში არა ჩანს სიმოლას მეპატრონის ვაჟკაცური ხასიათი, სულიერი სიმძლავრე.

ჭორიკანა დედაკაცის სანდრა მარიანენის სახასიათო სახე ოსტატურად გამოძერწა **ნ. სპერანსკაიამ**. იგი არ იშურებს ჭარბ ფერებს და სულით მახინჯ სანდრას სახეს მთელი სიმართლით ხატავს.

უფრო მეტი სითბო, უშუალობა და გულწრფელობაა საჭირო აარნეს დის ანა-ლიზას როლისათვის. მსახიობი **ლ. ერმოლენკო** კი როგორღაც შებორკილია, ამიტომ მისი თამაში ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს, ცივია და არაბუნებრივი.

ნისკავუორის დიასახლისის დაბადების დღეს შეიკრიბნენ ადგილობრივი „საზოგადოების“ წარმომადგენლები — გაბერილი ზის სავარძელში და ყავას მიირთმევს გონებაჩლუნგი, ცოლის მორჩილი და ქრისტიანული სწავლებისაგან მოქმედებით შორს მდგომი პასტორი (**კ. მიუფკე**), მოქეიფე, მაგრამ კეთილი გულის მეაფთიაქე (**დ. ხლავინი**). ბოროტი ფრინველებივით ჩამომსხდარან სავარძლებზე ნისკავუორის მახლობელი ხუტორების დიასახლისები — ნიკილის დიასახლისი, ჰკუამოკლე და მოუქნელი (**ე. სმირნოვა**), პასტორის ღვარძლიანი და თვითდაჯერებული მეუღლე (**მ. ლემერგარდტი**), მარტილის დიასახლისი — ჭორიკანა და ენამწარე (**რ. ნიავაია**).

კოლორიტულ სახეებს ქმნიან მსახიობები — **ა. ზავორსკი** (ნიკილის მეპატრონე), **გ. ვოლინეცი** — (მარტილის მეპატრონე), **ა. ლავდოვსკაია** (სერაფინა), **ლ. მალოვი** (მოურავი), **ს. დიკერმანი** (ექიმი) და **ო. ვოზნესენსკაია** (სალი).

სპექტაკლში კარგად არის შერჩეული და გამოყენებული მუსიკა (მუსიკალური გაფორმება **ა. ულტუხინისა**). იგი ორგანულად შედის სპექტაკლის ქარგაში, აძლიერებს მის ემოციურ ზემოქმედებას.

სადად, ძუნწად არის შესრულებული სპექტაკლის მხატვრული გაფორმება. (მხატვარი რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწე **ირ. შტენბერგი**). განსაკუთრებით კარგია ნისკავუორის სასტუმრო ოთახი, მისი დიდი ბუხარი.

კარგი იქნებოდა, რომ ის ქვის ჩარჩო, რომელშიც სცენა არის მოთავსებული, არა თეთრი, არამედ რუხი, ქვის ფერისა იყოს. ამით უფრო ნათლად წარმოუდგებოდა მაყურებელს ნისკავუორის ქვის ბუდე, უფრო დამაჯერებელი იქნებოდა პიესაში მოცემული გარემო. მეორე შემადგენლობა თავისებურად საინტერესო სახეს უქმნის სპექტაკლს, მაგრამ მისი ნამუშევარი ცალკე, დეტალურ ანალიზსა და შეფასებას მოითხოვს.

გრიბოედოვის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი უთუოდ შემოქმედებითი გამარჯვებაა. ამ სპექტაკლში ნათლად გამოვლინდა თეატრის, როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის მაღალი შემოქმედებითი შესაძლებლობანი.

**ნადეჟდა შალუტაშვილი,**
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

• • •

სცენა სპექტაკლიდან „ქვის ბუდე“. (მარცხნიდან) ი. რუსინოვი (აარნე ნისკავუორი), ე. სატინა (ნისკავუორის დიასახლისი), ა. ნირვანოვი (სიმოლას მეპატრონე) და ნ. ბურმისტროვა (ილონა ალგრენი). ფოტო ა. დარახჩიევისა.

# ფოტოკორესპონდენტთა შემოქმედებითი სემინარი

ამ დღეებში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა მოაწყო ფოტოკორესპონდენტთა რესპუბლიკური შემოქმედებითი სემინარი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო გაზეთების, საქინფორმის, ჟურნალების ფოტოკორესპონდენტებმა.

სემინარის მონაწილეებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ რედაქტორის მ. ბუგაევას მოხსენება. ამხ. ბუგაევამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ სათანადო ასახვას ვერ პოულობს ფოტოსურათებში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომა. მათი ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებში იგრძნობა შტამპი, ტრაფარეტი, კომპოზიციური სიღარიბე.

— პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ, — ამბობს ამხ. ბუგაევა, — კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა დასახა. ფოტოკორესპონდენტებისათვის არ არსებობს უფრო ხაპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა, ვიდრე ის, რომ უჩვენონ, ასახონ ამ პროგრამის განმახორციელებელი ადამიანების, კომუნიზმის მშენებელთა შეუპოვარი შრომა.

ამხ. ბუგაევამ სემინარის მონაწილეებს მოუთხრო ჟურნალ „სოვეტსკოე ფოტოს“ მუშაობასა და პერსპექტივებზე.

საქინფორმის ფოტოქრონიკის განყოფილების გამგე მ. გარმელია თავის მოხსენებაში ძირითადად შეეხო საქინფორმის ფოტოინფორმაციებს. მან აღნიშნა, რომ ფოტოქრონიკას ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად ახასიათებს ნაკლი: სათანადო ყურადღება არ ექცევა თემების შერჩევას, არადამაკმაყოფილებელია ადამიანთა შრომისა და ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები და, რაც მთავარია, არც თუ იშვიათად მოიკოჭლებს ფოტოსურათების ხარისხი, არ იგრძნობა, რომ ფოტოგრაფია ხელოვნებაა.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ფოტოკორესპონდენტის მ. კვირიკაშვილის მოხსენება მიმოხილვითი ხასიათის იყო. მან მიმოიხილა უკანასკნელ პერიოდში პრესაში გამოქვეყნებული ფოტოსურათები. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებას“ მხატვარი ფოტოგრაფი ა. ბალაბუევი კი შეეხო ფოტოსურათების სიუჟეტისა და კომპოზიციის საკითხებს.

კამათში სიტყვებით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ფოტომასალებითა და ფოტოაპარატურით მომარაგება. ყველა რედაქციაში ფოტოკორესპონდენტებისათვის არ არის შექმნილი მუშაობის სათანადო პირობები, რაც ფოტოლაბორატორიების უქონლობაში გამოიხატება.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ფოტოკორესპონდენტებმა ვ. ჯეირანოვმა, თ. არჩვაძემ, ნ. ანასტასიევმა (ბათუმი), ა. მითაიშვილმა (ქუთაისი), ვ. გინზბურგმა, ფოტომოყვარულმა ს. კრუჟკოვმა, ფოტოქრონიკის ლიტერატურულმა მუშაკმა ა. ვიგნანსკიმ.

დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სემინარი, მოწყობილი იყო საქართველოში მომუშავე ფოტოკორესპონდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

# საჭირო წიგნი მიუტევებელი შეცდომებით

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართულ სამხარეთმცოდნეო ლიტერატურა შედარებით ღარიბია. ეს ითქმის განსაკუთრებით კახეთის რაიონების შესახებ. ამ სერიოზულ ნაკლს რამდენადმე ავსებს ივ. არჯევანიძის მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ“[1].

ჩვენი მიზანია აღვნიშნოთ ამ წიგნში დაშვებული რამდენიმე უხეში შეცდომა.

თელავის მუზეუმის შესახებ წიგნში ნათქვამია: „აქვე, ამ გალავნის ბოლოს ქუჩისაკენ მიქცეულ კედლებთან ორი საფლავია: ერთი მე-19 საუკუნის სახელგანთქმული მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის რაფიელ ერისთავისა (რომლის ნეშტი 1938 წელს გადმოსვენებულ იქნა შუამთის მონასტრიდან თელავში), ხოლო მეორე — ახალგაზრდა (?) პოეტის იოსებ დავითაშვილისა“.

ეტყობა ავტორს გამორჩა, რომ აქვეა „მამათა ბანაკის“ ცნობილი წარმომადგენლის ბარბარე ჯორჯაძის საფლავიც. შეიძლებოდა ეს არც გვესაყვედურებინა ავტორისათვის, რაფიელ ერისთავის ბიოგრაფიის უცოდინარობას რომ არ ამჟღავნებდეს. სხვა ადგილას ივ. არჯევანიძე წერს: „ცნობილი ქართველი პოეტი რაფიელ ერისთავი დაიბადა სოფელ ქისტაურში (ამჟამად ახმეტის რაიონი) 1824 წელს, გარდაიცვალა ქ. თბილისში 1901 წელს. დასაფლავებულ იქნა შუამთის მონასტრის გალავანში, სადაც იგი აღიზარდა მონასტრის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. 1938 წელს მისი ნეშტი გადმოსვენებულ იქნა ქალაქ თელავში და დაიკრძალა ციხის გალავანში — მუზეუმის პირდაპირ“.

ავტორი აქ უხეშ ფაქტიურ შეცდომას უშვებს. რაფიელ ერისთავი თბილისში კი არა, თელავში გარდაიცვალა. სახელოვანი პოეტის ნეშტი თელავიდან ქისტაურში გადაასვენეს და საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს. ცხადია, 1938 წელს პოეტის ნეშტს შუამთის მონასტრიდან თელავში ვერ გადმოასვენებდნენ.

ვისაც ერთხელ მაინც დაუთვალიერებია თელავის კრემლის ნაგებობანი, მას უეჭველად გაკვირვების ძახილი აღმოხდება, როცა წაიკითხავს პატივცემული ავტორის შემდეგ „აღმოჩენას“: „ციხე-გალავნის ტერიტორიაზე, სასახლის მახლობლად, ქალაქის მოედნისაკენ, გადამყურე კედლის ძირში, მუზეუმის მიერ 1938 წელს ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილია ერეკლე მეორის დროინდელი აბანო, რომელსაც გათბობის განსაკუთრებული სისტემა და თავისებური საბანებელი ჰქონდა მოწყობილი“.

ერეკლე მეორის აბანო მიწის ქვეშ არავის არ აღმოუჩენია, იგი 1938 წელს ისევე იდგა მიწის ზედაპირზე, როგორც ერეკლე მეორის დროს. მუზეუმის მუშაკებმა მხოლოდ შეისწავლეს აბანოს გათბობისა და მუშაობის სისტემა და დაადგინეს, რომ ეს სისტემა მართლაც განსაკუთრებული და თავისებურია.

ივანე არჯევანიძის წიგნს მხარეთმცოდნეობითი ნარკვევის პრეტენზია აქვს, მაგრამ ავტორი დაუდევრად ეკიდება კახეთის გეოგრაფიას. აი ერთ-ერთი ფაქტი: ავტორი წერს: „სოფელი რუისპირი მდებარეობს თელავიდან სამხრეთით, იყალთოსაკენ მიმავალი გზის პირას“, ნამდვილად კი ეს სოფელი თელავიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს.

ნარკვევში გულუბრყვილოდ არის შეფასებული ჩვენი წარსული ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა. როცა ლაპარაკია თორღვას სამკურნალო აბანოს შესახებ, ავტორი ამბობს: „უწინ ამ „აბანოთი“ სარგებლობდნენ უმთავრესად თუშები და ფშავლები, რომლებიც მის დასაცავად ლეკეთ-ქისტებთან ბრძოლებს აწარმოებდნენ, იგერიებდნენ და უკუაგდებდნენ ამ დაუპატიჟებელ „სტუმრებს“.

განა შეიძლება, რომ „ლეკეთ-ქისტებთან ურთიერთობა ავხსნათ ასე პრიმიტიულად.

სარეცენზიო წიგნს ეწოდება „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ“, მაგრამ ავტორი ძალიან ძუნწობს ალაზნისა და მისი შენაკადი მდინარეების მნიშვნელობაზე მხარის ეკონომიკის შემდგომი აყვავების საქმეში, თითქმის არაფერს არ ამბობს სარწყავი არხებისა და ელექტროფიკაციის გაფართოების პერსპექტივების შესახებ.

თელავის რაიონი განთქმულია მაღალხარისხოვანი მარმარილოს სიუხვით. ლოპოტის მარმარილო ამშვენებს ჩვენი დიადი სამშობლოს, აგრეთვე საზღვარგარეთის მთელი რიგი ქალაქების არქიტექტურულ ნაგებობებს. თელავში მზადდება ფიქალის ფხვნილი — ძვირფასი მასალა ტოლის წარმოებისათვის, მაგრამ ავტორი ამაზე ძალიან ცოტას წერს.

• • •

სარეცენზიო წიგნში შეცდომები და ლაფსუსები სხვაც ბევრია. ჩვენ ეს შეუწყნარებლად მიგვაჩნია. საჭიროა ნარკვევის შემდგომი გამოცემა მაინც იყოს თავისუფალი შეუსაბამო დასკვნებისა და მცდარი დებულებებისაგან.

**შ. როსტომაშვილი,**
თელავის რაიონული გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორი.
**ალ. გვენცაძე,**
თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი.

[1] ივ. არჯევანიძე—„თბილისიდან ალაზნის ველისაკენ“ მხარეთმცოდნეობითი ნარკვევი, რედაქტორი მ. ტყემალაძე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი საბერძნეთის მთავრობისადმი

13 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. პ. ფირიუბინმა მიიღო საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მოსკოვში დ. ი. პაპასი და გადასცა მას საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათი საბერძნეთის მთავრობისადმი იმის შესახებ, რომ გაძლიერდა საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის ატომური და რაკეტული ბაზების შექმნის საფრთხე. დასავლეთის პრესის ცნობები, აგრეთვე საბერძნეთის მთავრობის ზოგიერთი წევრის განცხადებანი, ნათქვამია სამახსოვრო ბარათში, სამწუხაროდ, ყოველგვარ საფუძველს იძლევიან მივიჩნიოთ, რომ საბერძნეთის მთავრობას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს საბერძნეთის ბედისათვის საშიში ამ გეგმების უსწრაფესად განხორციელებას.

საბჭოთა მთავრობის სამახსოვრო ბარათში აღნიშნულია, რომ ნატოს მონაწილე ზოგიერთი ქვეყნის ატომური შეიარაღებისა და ამ ქვეყნების ტერიტორიაზე ატომური და რაკეტული ბაზების განლაგების გეგმების რეალიზაციისათვის მზადება ხორციელდება იმ მომენტში, როცა საერთაშორისო ვითარებაში დაიწყო დაძაბულობის ერთგვარი შენელება, მიღწეულია შეთანხმება საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მოწვევისა და უმაღლეს დონეზე შეხვედრის შესახებ მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოსაწესრიგებლად.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, აღნიშნულია სამახსოვრო ბარათში, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული შეიძლება გახდეს და კიდევაც უნდა გახდეს მშვიდობის ნამდვილი ზონა, ბალკანეთის სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობის ზონა. თავის მხრივ საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი ამ კეთილშობილურ საქმეს.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია სავსებით გარკვევით განაცხადოს, რომ საბერძნეთის მთავრობის თანხმობა თავის ტერიტორიაზე ატომური და რაკეტული ბაზების განლაგებაზე მიჩნეული იქნება როგორც საბჭოთა კავშირისა და მშვიდობის შენარჩუნებისადმი მტრული აქტი, რომლის შედეგად სერიოზული ზიანი მოუვა საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის ურთიერთობას. (საქდესი).

## სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის სავაჭრო დელეგაციების პირველი პლენარული სხდომა

13 მაისს საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შენობაში დაიწყო სავაჭრო მოლაპარაკება სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის დელეგაციებს შორის. საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი.

დიდი ბრიტანეთის დელეგაციას მეთაურობს ვაჭრობის მინისტრი სერ დევიდ ეკლსი.

პირველ პლენარულ სხდომაზე, რომელიც საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა-კავშირ ინგლისის ვაჭრობის განვითარებასთან. (საქდესი).

## საქდესი უარყოფს

ინგლისის კონსერვატიულმა გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ ამას წინათ გამოაქვეყნა თავისი თეირანელი კორესპონდენტის ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ავღანეთის მთავრობის თანხმობით „რუსეთის არმიების შენაერთები“ „შევიდნენ ავღანეთის ტერიტორიაზე“ და იმყოფებიან გერატის რაიონში. გაზეთი ამტკიცებს, რომ ეს „საფრთხეს უქმნის ირანის თავდაცვით პოზიციებს“ ავღანეთის ტერიტორიიდან, აგრეთვე პაკისტანთან ირანის კომუნიკაციათა ხაზებს.

ეს ცნობა გამოიყენეს და გაავრცელეს ინგლისის რეიტერის სააგენტომ, ფრანს პრესის სააგენტომ და დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტომ.

საქდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა თავიდან ბოლომდე მონაჭორია, რომელიც მიზნად ისახავს, გაამართლოს საზოგადოებრივი აზრის თვალში უცხოეთის სამხედრო ბაზების მშენებლობა ირანსა და პაკისტანში, აგრეთვე მზადება იმისათვის, რომ ირანის ტერიტორია გამოიყენონ უცხოეთის შეიარაღებულმა ძალებმა. როგორც ჩანს, ზოგიერთ პოლიტიკოსს თეირანში და მას, ვინც ზურგს უმაგრებს მათ, ძალიან სურთ თავისი დანაშაული სხვას გადააბრალონ.

## ფოტო კონკურსი

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია დღეიდან აცხადებს ფოტოკონკურსს. კონკურსზე გამოგზავნილი საუკეთესო სურათები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის საკვირაო ნომრებში.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ჩვენი გაზეთის ყველა მკითხველს, რომლებიც დაინტერესებული არიან ფოტოგრაფიით.

საკონკურსოდ მიიღება ფოტოსურათები და ფოტორეპორტაჟები დიადი შვიდწლედის თემაზე, შვიდწლედის ადამიანებზე, რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაზე, საკოლმეურნეო ცხოვრებაზე, საბჭოთა ადამიანების შრომასა და ყოფაზე, სწავლასა და დასვენებაზე, საქართველოს პეიზაჟზე, სპორტზე, ტურიზმზე...

**საუკეთესო ფოტოსურათებისა და ფოტორეპორტაჟებისათვის დაწესებულია ექვსი პრემია:**
**ერთი პირველი პრემია — 1.000 მანეთი,**
**ორი მეორე პრემია — 800 მანეთი თვითეული,**
**სამი მესამე პრემია — 500 მანეთი თვითეული.**

ამას გარდა ჟიურის მიერ მოწონებულ დაბეჭდილ ფოტოსურათებსა და ფოტორეპორტაჟებზე გამოიწერება გაძლიერებული ჰონორარი.

ფოტოკონკურსზე უნდა გამოიგზავნოს პრიალა ქაღალდზე დაბეჭდილი სურათები ზომით 13×18 სანტიმეტრი. ყოველ სურათზე აღნიშნული უნდა იყოს სურათის სახელწოდება, ავტორის სახელი, გვარი და მისამართი.

კონკურსზე გამოგზავნილი სურათები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

კონკურსზე სურათები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 14, გაზეთი „კომუნისტი“, ფოტოკონკურსზე.



კოლმეურნე გოგონა გულსუნდა მჭედლიშვილი გულმოდგინედ უვლის წიწილებს (საგარეჯოს რაიონის სოფელი კაკაბეთი). ფოტო დ. იაკობაშვილისა.

## ყოველი მხრიდან

# საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

**ჟენევა,** 13 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღევანდელ სხდომაზე რომელიც მიმდინარეობდა ქ. ჰერტერის თავმჯდომარეობით, გაგრძელდა იმ საკითხის განხილვა, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა მონაწილეობა მიიღონ ჟენევის თათბირში მისი მუშაობის დაწყებიდანვე.

**ჟენევა,** 13 მაისი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, დღევანდელი სხდომის დასაწყისში გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. საბჭოთა დელეგაციამ, განაცხადა მან, უკვე აღნიშნა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა მთავრობა იმას, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა თავიდანვე მიიღონ მონაწილეობა ჩვენს მუშაობაში. თუ მე მიხდება დავუბრუნდე ამ საკითხს, ამის მიზეზია გერმანიის შესახებ საკითხების განხილვაში პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობის პოლიტიკური მნიშვნელობის აშკარა შეუფასებლობა, რამაც თავი იჩინა ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ინგლისის დელეგაციების გამოსვლებში გუშინდელ სხდომაზე. საბჭოთა კავშირის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქმე ეხება ევროპის ორი სახელმწიფოს სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან ინტერესებს, რომლებსაც ყველაზე მეტი საფუძველი აქვთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების განხილვაში, რომლებსაც ეძღვნება ეს თათბირი.

ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობა, აღნიშნა გრომიკომ, მტკიცედ უჭერს მხარს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის განსაკუთრებულ დაინტერესებას იმ საკითხების მოწესრიგებით, რომლებიც გერმანიას ეხება და იცავს მათს უფლებას იყვნენ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის მონაწილენი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სსრ კავშირი უარყოფს სხვა სახელმწიფოთა დაინტერესებულობას, მაგალითად, ისეთი კარდინალური საკითხის გადაჭრით, როგორიც არის გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადება. რა თქმა უნდა, ცოტა როდია ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც დაზარალდნენ ჰიტლერული გერმანიის თავდასხმით და იბრძოდნენ აგრესორების წინააღმდეგ. მაგრამ როგორ შეიძლება ერთ მწკრივში ჩავაყენოთ, როგორც ამას სჩადიოდნენ გუშინ ჩვენ მიერ მოსმენილ გამოსვლებში, სახელმწიფოები, რომლებიც ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებული იყვნენ ისე, რომ თითქმის ერთხელაც არ გაუსვრიათ თოფი, და, მაგალითად, პოლონეთი, სადაც დამპყრობთა ხელით დაიღუპა 6 მილიონზე მეტი კაცი, ესე იგი პოლონეთის მოსახლეობის მეხუთედი. თუ რეალური ფაქტების ნიადაგზე დავრჩებით, განაცხადა ა. ა. გრომიკომ, შეიძლება მაშასადამე გავაკეთოთ მხოლოდ ერთი დასკვნა: უკვე იმ როლის საფუძველზე, რომელიც პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხებმა შეასრულეს მეორე მსოფლიო ომის წლებში, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს სრული უფლება აქვთ უსხდნენ ამ მაგიდას. ამრიგად, საწინააღმდეგო აზრები, რომლებიც გამოითქვა სსრ კავშირის წინადადების მიმართ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობის შესახებ, ემყარება მერყევ ნიადაგს და ვერ უძლებს ფაქტებთან დაპირისპირებას. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, განაგრძო გრომიკომ, მივაქციოთ ამას ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრების ყურადღება, რადგან ჩვენ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობას თათბირის მუშაობაში დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ომის შემდეგ განვლო 14 წელმა, განაცხადა შემდეგ მინისტრმა, და ახლა უკვე საკმაო სიცხადით გამოირკვა იმ სახელმწიფოთა სახე, რომლებთანაც ხელი უნდა მოვაწეროთ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას. გამოირკვა, კერძოდ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ერთ-ერთი გერმანული სახელმწიფო, სახელდობრ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ისეთია, რომ იგი პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას, — რომ არ ვილაპარაკოთ, რა თქმა უნდა, ოთხ დიდ სახელმწიფოზე, — განსაკუთრებით დაინტერესებულს ხდიან გერმანიასთან მომავალი მშვიდობიანი მოწესრიგების ხასიათით. გარდა ამისა, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია ყველაფერს აკეთებენ, რაც მათზეა დამოკიდებული, რომ მიაღწიონ საზავო ხელშეკრულების ხელმოწერას, მაშინ, როცა გერმანიის დასავლეთევროპელ მეზობლებს, როგორც ცნობილია, არაფრით არ გამოუჩენიათ რაიმე დაინტერესებულობა ამ ამოცანის გადაჭრით, და მათი უფლებანი აგონდებათ მხოლოდ მაშინ, როცა ცდილობენ ხელი შეუშალონ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობას ჩვენს თათბირში.

საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა დასასრულ ა. ა. გრომიკომ, მტკიცედ იცავს იმ თვალსაზრისს, რომ პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები ახლავე, თავიდანვე უნდა ჩაებნენ ჩვენი თათბირის მუშაობაში. და არ არსებობს არავითარი საფუძველი გაჭიანურდეს მათი მოწვევა მოლაპარაკების მაგიდასთან.

შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის სახელით განცხადება გააკეთა ქ. ჰერტერმა. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია ამ თათბირზე მოვიდა იმ დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, რაც ეკისრებათ საგარეო საქმეთა მინისტრებს, რომლებიც თათბირის დარბაზში სხედან.

მოკლედ ილაპარაკა რა საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის წინანდელი თათბირისა და მთავრობათა მეთაურების თათბირის შემდეგ ვითარების განვითარებაზე, ქ. ჰერტერმა აღნიშნა ვითარების გაუმჯობესება ზოგიერთ დარგში. მან თქვა, კერძოდ, რომ მოლაპარაკება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე თითქოს თანდათან მიიწევს წინ, აგრეთვე, რომ მოპოვებულია ერთგვარი წარმატება საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების ხალხთა კონტაქტის განვითარებაში. შეეხო რა ამ თათბირის მიზნებს, ქ. ჰერტერმა განაცხადა, რომ ეს მიზნები, მისი აზრით, არის, ჯერ ერთი, მივაღწიოთ დადებით შეთანხმებას რაც შეიძლება უფრო ფართო დარგში, მეორე, შევამციროთ უთანხმოება თათბირის მონაწილეთა შორის და, მესამე, მოვამზადოთ კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებსაც განიხილავს მთავრობათა მეთაურების თათბირი. ქ. ჰერტერმა განაცხადა, რომ ეს თათბირი შეიძლება აღმოჩნდეს უმაღლეს დონეზე თათბირის პრელუდია, თუ მისი მონაწილენი დამაკმაყოფილებელ წარმატებას მიაღწევენ. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან შეუერთდნენ მთავრობათა მეთაურების თათბირს.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი. მან წაიკითხა სიტყვა მ. კუვ დე მიურვილისა, რომელმაც ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღო დღევანდელ სხდომაში. ამ სიტყვაში ნათქვამია, რომ ამჟამად არის დაძაბულობის გაძლიერება 1955 წლის შემდეგ განვლილ პერიოდთან შედარებით, როცა იყო ცდები გადაეჭრათ ომის შემდეგ წარმოშობილი პრობლემები. კუვ დე მიურვილი ამაში უსაფუძვლოდ დებს ბრალს საბჭოთა კავშირს, და ამტკიცებს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადებებმა ბერლინის საკითხზე, რომლებიც შემოტანილი იყო ექვსი თვის წინათ, გამოიწვიეს თითქოს ვითარების კრიზისი. კუვ დე მიურვილმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთი ისწრაფვის შექმნას კარგ შეთანხმებათა პირობები. მან განაცხადა აგრეთვე, რომ, თუ ეს თათბირი დადებით შედეგებს მოგვცემს, გაიხსნება უმაღლეს დონეზე თათბირის გზა.

შემდეგ სიტყვა კვლავ აიღო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ.

### ა. ა. გრომიკოს განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

**ჟენევა,** 13 მაისი. (საქდესი). გამოვიდა რა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღევანდელ სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ ამ თათბირის გახსნა მოასწავებს პირველ ნაბიჯს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის მიზნით თათბირის მაგიდასთან ოთხი სახელმწიფოს თანამშრომლობის განახლების საქმეში.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თათბირში ორი გერმანული სახელმწიფოს წარმომადგენელთა მონაწილეობას და ამ ფაქტს აფასებს როგორც სწორი მიმართულებით გადადგმულ რეალისტურ ნაბიჯს.

აღნიშნა რა თათბირის მონაწილეთა პასუხისმგებლობა ყველა ქვეყნის ხალხთა წინაშე, რომელთაც სწყურიათ გარდატეხა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში, ა. ა. გრომიკომ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ომის აფეთქების იმ საფრთხის შენელების ღონისძიებანი, რომელიც წარმოიშვა მრავალი წლის „ცივი ომის“ და გამალებული შეიარაღების შედეგად. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობა გაიწმინდოს იმ დანალექებისაგან, რომლებიც მემკვიდრეობად დატოვა მეორე მსოფლიო ომმა. ილაპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა: ეს განსაკუთრებით საჭიროა ახლა, როცა დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება რევანშისათვის. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ამას, რადგან მთელი მსოფლიოს თვალწინ დაჩქარებული ტემპით აქცევენ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას მოწინავე პლაცდარმად ატომგულის ომის წარმოებისათვის. ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მოითხოვს დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან, და გადაუდებელ ამოცანად მიაჩნია თავიდან აცილებულ იქნას ახლანდელი მეტად არანორმალური და საშიში მდგომარეობა დასავლეთ ბერლინში, რომელიც ჯერ კიდევ განიცდის ნატოს სახელმწიფოთა სამხედრო ოკუპაციას. თუ ეს თათბირი მოწოდებულია ხელი შეუწყოს მშვიდობის განმტკიცებას, თქვა მან, იგი უნდა მიეძღვნას საერთაშორისო ურთიერთობის სწორედ ამ ორი საკითხის — გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის პრობლემის განხილვას.

ა. ა. გრომიკომ გააკრიტიკა დასავლეთის გარკვეული წრეების ცდები მიაღწიონ იმას, რომ სხვადასხვა პოლიტიკური საკითხი დაიხლართოს ერთ საერთო კვანძად ხელოვნურად შექმნილი ურთიერთდამოკიდებულებით და ამრიგად ამ თათბირის მონაწილეებს წარედგინოს როგორც მტკიცედ გასკვნილი კვანძი, რომლის გახსნა შეუძლებელი იქნება, კიდევაც რომ ძლიერ გვდომებოდა.

აი ამიტომ საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა მან, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ ჩვენი თათბირის მუშაობა ეფექტიანი იყოს, მოითხოვს თათბირზე განხილულ იქნას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულებისა და დასავლეთ ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის პრობლემები. წარმატება ამ მწვავე საკითხების გადაჭრაში, რომელთა მნიშვნელობის დანახვა არ შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც შეგნებულად არიდებს ამას თვალს, იქნებოდა თათბირის ყველა მონაწილის კეთილი ნების არსებობის საუკეთესო დადასტურება და, უეჭველია, შექმნიდა შემდეგში აგრეთვე სხვა მოუწესრიგებელი პრობლემების წარმატებით გადაჭრის ხელსაყრელ პირობებს.

თათბირის ამოცანა, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, აგრეთვე ის არის, რომ მოამზადოს შეთანხმებული წინადადებანი მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის დროის, ადგილისა და შესაძლებელი დღის წესრიგის შესახებ. ამ ამოცანების შესრულება, საბჭოთა დელეგაციის აზრით, არ წარმოადგენს არსებით სიძნელეებს, რამდენადაც მთავრობათა მეთაურების თათბირის მალე მოწვევის შესახებ პრინციპულ თანხმობას, როგორც ცნობილია, უკვე მიაღწიეს ჩვენმა მთავრობებმა ნოტების გაცვლის მსვლელობაში.

იმედი გამოთქვა რა, რომ თათბირის ყველა მონაწილე თავის დადებით წვლილს შეიტანს ამ პასუხსაგებ საქმეში, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა თათბირის მონაწილეებს პირობა მისცა, რომ საბჭოთა დელეგაცია თავის მხრივ გააკეთებს ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა ხელი შეუწყოს თათბირის მუშაობის წარმატებას.

დღევანდელ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი სელვინ ლოიდი.

გამოთქვა რა კმაყოფილება ახლანდელი თათბირის მოწვევის გამო, მან განაცხადა, რომ იზიარებს გრომიკოს იმედს და სხვების იმედს ატმოსფეროს გაუმჯობესების შესახებ. ლოიდმა თქვა, რომ ეთანხმება ბევრ რამეს, რაზეც გრომიკო ლაპარაკობდა თავის სიტყვაში, მაგრამ არა ამ გამოსვლის ყველა პუნქტს. კერძოდ, ლოიდმა თქვა, რომ არ ეთანხმება იმას, რომ არის ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფო და რომ მათი გაერთიანების საკითხი თვით გერმანელების საშინაო საქმეა. შემდეგ ლოიდი ამტკიცებდა, რომ არსებობს ურთიერთკავშირი გერმანიის გაერთიანების, ევროპის უშიშროების პრობლემებსა და ბერლინის საკითხს შორის.

ინგლისის დელეგაციის მეთაური დაეთანხმა იმას, რაც ა. ა. გრომიკომ თქვა მოსკოვში მაკმილანისა და მისი, ლოიდის ვიზიტის გამო. ჩვენ მოვაწყეთ, თქვა მან, მეტად სასარგებლო მოლაპარაკება, რომელმაც გამოიწვია სწორი ურთიერთგაგება, და ერთობლივ კომუნიკეში სწორად აისახა ამ მოლაპარაკების შედეგები.

აღნიშნა რა, რომ იზიარებს აზრს ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებათა მიღწევის საჭიროების შესახებ, ლოიდმა განაცხადა, რომ, ბრიტანეთის მთავრობის აზრით, საჭიროა მოეწყოს თათბირების სერია, რამდენადაც საკითხები მეტად რთულია, რათა შეიძლებოდეს მათი ერთბაშად გადაჭრა. აღნიშნა რა, რომ ორივე მხარე დაინტერესებულია მშვიდობის შენარჩუნებით, დაძაბულობის შენელებით და კონტაქტის გაფართოებით, ლოიდმა იმედი გამოთქვა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თათბირი რამდენადმე ცუდ ატმოსფეროში დაიწყო, მიღწეულ იქნება უფრო ხელსაყრელი შედეგები, ვიდრე მიღწეული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ 1955 წელს.

ს. ლოიდის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა. მინისტრები შეიკრიბებიან ხვალ დღისით.

### საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

**კაირო,** 13 მაისი. (საქდესი). სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის კულტურული გაცვლის გეგმის შესაბამისად, 18 აპრილიდან 8 მაისამდე კაიროში გახსნილი იყო საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო საბჭოთა მხატვრებისა და მოქანდაკეების 100-ზე მეტი ნაშრომი. ამ ნაწარმოებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია კაიროს კულტურისა და ხელოვნების მუშაკებს, ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას შორის. გამოფენაზე ყოველდღე დადიოდა 500-ზე მეტი კაცი.

ხვალ საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოფენა გაიხსნება ალექსანდრიაში.

### ინგლისის თემთა პალატაში

**ლონდონი,** 13 მაისი. (საქდესი). ინგლისში გამოქვეყნებულ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ უკანასკნელ წელს მკვეთრად გადიდდა რადიოაქტიურობა ინგლისში, ინგლისის თემთა პალატაში აღიძრა საკითხი, რომ საჭიროა, რაც შეიძლება მალე აიკრძალოს ატომური იარაღის გამოცდა.

პარლამენტის წევრებმა ლეიბორისტებმა მოსმა, ბივენმა, ბეზუიკმა და სხვებმა მოუწოდეს მთავრობას დაუყოვნებლივ განაცხადოს, რომ წყვეტს ატომური იარაღის გამოცდას და ყოველი ღონე იხმაროს, რათა ჟენევის თათბირზე, რაც შეიძლება მალე იქნას მიღწეული დამაკმაყოფილებელი შეთანხმება.

ლეიბორისტების გამოსვლების პასუხად პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის პოლიტიკაა — შეეცადოს მიაღწიონ მისაღებ შეთანხმებას ყველა სახეობის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ეფექტიანი კონტროლის დაწესებით. „მე წინანდებურადვე ვიმედოვნებ, — განაცხადა მაკმილანმა, — რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა შეიძლება“.

### ა. ა. გრომიკოს საუბარი ქ. ჰერტერთან და ს. ლოიდთან

**ჟენევა,** 14 მაისი, (საქდესი). დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ამერიკის შეერთებული შტატების რეზიდენციაში შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ქ. ჰერტერს და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ს. ლოიდს. შეხვედრის დროს გაიმართა აზრთა გაზიარება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების საკითხზე.

სამი მინისტრის საუბარში მონაწილეობა მიიღეს ა. ა. სოლდატოვმა, ს. კ. ცარაპკინმა, ჯ. უოდსვორტმა და მ. რაიტმა.

### უცხოეთის ქრონიკა

◆ 13 მაისს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის გეზა რევესის მიწვევით ბუდაპეშტში ჩავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დეხუაი.

◆ ქალთა ლიბერალური ფედერაციის ყოველწლიურმა კონფერენციამ, რომელიც მიმდინარეობდა ბორნემუთში (ინგლისი), 13 მაისს ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც ინგლისის მთავრობას მოუწოდებს უარი თქვას ატომური იარაღის წარმოებასა და გამოცდაზე. კონფერენციის დელეგატებმა მოუწოდეს აგრეთვე მთავრობას ხელი შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომლის საფუძველზე ქვეყნები, რომლებიც ჯერ თვითონ არ აწარმოებენ ატომურ იარაღს, ვალდებულებას იკისრებენ არ შეუდგნენ მის გამოცდას და არ დაგეგმონ მისი წარმოება.

◆ როგორც ამერიკის დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, 12 მაისს ჩარლსტონის (დასავლეთ ვირჯინიის შტატი) აეროდრომზე დაშვების დროს დაიმსხვრა ოთხმოტორიანი სატრანსპორტო თვითმფრინავი „კონსტელეიშნი“, რომელზეც იყო 36 მგზავრი და 5 კაცისაგან შემდგარი ეკიპაჟი. კატასტროფის შედეგად დაიღუპა სამი კაცი, 13 კაცი დაშავდა. ქალაქ ბალტიმორის (მერილენდის შტატი) ახლოს დაიმსხვრა რეაქტიული თვითმფრინავი „ვაიკაუნტი“. 27 მგზავრი და ეკიპაჟის ოთხი წევრი დაიღუპა.

(საქდესი).

### სპორტის ამბები

◆

#### რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში

საქართველოს პირველობის გათამაშების ფინალის მესამე ტურში ჩემპიონატის ლიდერი ოსტატი ბ. გურგენიძე შეხვდა ოსტატობის კანდიდატს გ. მაჭავარიანს. გ. მაჭავარიანმა პასიურად გაითამაშა პარტიის დასაწყისი, რის შედეგად რამდენადმე ცუდი თამაში მიიღო. ბ. გურგენიძეს პარტიის შუა სტადიაში ფაქტიურად ზედმეტი ფიგურა ჰქონდა, რადგან გ. მაჭავარიანის მხედარი გამოთიშული იყო თამაშიდან. შეჯიბრების დასკვნითს ნაწილში ოსტატი ენერგიულად იბრძოდა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა.

სუსტად ჩაატარა პარტია ა. იზვოზჩიკოვმა ა. ბრეიტმანთან და მალე წააგო. დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა ო. თურქესტანიშვილმა ო. წერეთელზე. ა. ბუსლაევ-მ. დემურიას, დ. ჯანოევ-ა. ბლაგიძისა და გ. გამრეკელ-მ. შიშოვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

სამი ტურის შემდეგ წინ არის ბ. გურგენიძე, რომელსაც 3 ქულა აქვს. დღეს რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

### რადიოგადაცემები

15 მაისისათვის

**პირველი პროგრამით**

10.45 — პიესები ჩასაბერ საკრავთა ორკესტრისათვის, 11.00 — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 11.15 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 12.15 — რუსული სიმღერები ანტონინა სმეტანკინას შესრულებით, 12.45 — ალექსანდრე ბეგლიშვილის კონცერტი, 17.20 — ჩინური მუსიკა, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის, ნარკვევი: „თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში“, 18.05 — თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი, 18.45 — რიჰარდ შტრაუსის სიმფონიური პოემა „ტილ ულენ შპიგელი“, 19.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის: „მისი ვალდებულებანი და საქმეები“ (ნარკვევი კომუნისტური შრომის დამკვრელ რევაზ სიხარულიძეზე) 20.30 — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის გიორგი გეგეშიძის საუბარი — საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. 20.45 — მუსიკა. 20.55 — მოსკოვის „დინამოსა“ და თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების შეხვედრის რეპორტაჟი მოსკოვიდან. 20.35 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან მწერალთა მესამე საკავშირო ყრილობის წინ — „სტუმრად ქართველ მწერლებთან“. 21.40 — გადაცემა: ახალქალაქის რაიონი შვიდწლედში“. 22.00 — კონცერტი ახალქალაქის მშრომელთა დაკვეთით.

**მეორე პროგრამით**

20.30 — არჩილ ჩიმაკაძის კანტატა „ქართლის გული“, 20.55 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 21.45 — საუბარი: „მეცნიერული მედიცინა და ექიმბაშობა“, 22.00 — ოფენბახი, ოპერეტა „მოხერხებული ფლეიტისტის“ მონტაჟი.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

შაბათს, 16 მაისს

**პრემიერა**

მ. ბალანჩივაძე

**დარეჯან ცბიერი**

ლიბრეტო აკ. წერეთლის სიუჟეტის მიხედვით

დირიჟორი მ. ბორჩხაძე, დადგმა ვ. ტაბლიაშვილისა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მხატვარი ი. ასკურავა — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ცეკვების დამდგმელები: დ. ჯავრიშვილი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე და ზ. კიკალეიშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი, ხორმეისტერი გ. ბუხრიკიძე.

### დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ბახჩისარაის შადრევანი (მე-9 აბონემენტის მე-10 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ამბავი სიყვარულისა, **მარჯანიშვილის სახელობის** — მუმლი მუხასა, **გრიბოედოვის სახელობის** — საქმოსანი, **სანკულტურის** — ერთი შეცდომის შედეგი, **მუსიკალური კომედიის** — ტრფობის ბადეში (რკინიგზელთა სახლში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (4 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (10 ს. და 1 ს.), **თოჯინების ქართული** — დარუბანდელი ჭაბუკი (11 ს. და 2 ს.), **თოჯინების რუსული** — სამი გოჭი (11 ს., 12 ს. და 30 წ.), **ფილარმონიის საზაფხულო** — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი რამიშვილისა და სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

### ტელეგადაცემათა პროგრამა

15 მაისისათვის

19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — კინოჟურნალი, 19.55 — გადაცემა — „რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთი დღე“, 20.15 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.45 — ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი გადაცემა, 21.15 — მხატვრული ფილმი „საქმე № 306“.

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის,** ამირანი (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — ბატონ პუჩიკის საქმე, **ამირანი** (საზაფხულო) — სასახლეები და ქოხები, **დიდუბე** (საზაფხულო), **სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლი** — ჩემს ცოლს სიმღერა სურს, **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ვაკის პარკი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ტანა, **ისანი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი** — უოჯახო, **თბილისი** — იტალიური კინოფილმების ფესტივალი, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — ტოლები, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — სიყვარულის დაფდაფები, **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — ქვები რომ ლაპარაკობდნენ, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **ყაზბეგი** — ჩვენი გზები იყრებიან, **საქართველო** (საზაფხულო) — სომბრერო, **კოლხიდა** (საზაფხულო) — ჯადოქარი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **ოფიცერთა სახლი, დიდუბე** (საზამთრო) — ადამიანის ბედი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **თანამგზავრი** — შენით მოხიბლული **კოლმეურნე** — შორეულ ნაპირებზე.

რედაქციის და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46 პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის—3-16-90, სოფლის მეურნეობის—3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 02534 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.